# საბჭოთა ქალი

№ 4 აპრილი 1961 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

45
961/3



ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარას შევჩენკო
(გარდაცვალების ასი წლისთავი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



3. ი. ლენინი

გრავიურა რუმინელი მხატვრის ქიულ პერახიმის

# ნომერში

ასე წავიდა სამი ათასი

**გზაზე**

მოთხრობა

ერთი საათი ჩაის გადამწონ ფაბრიკაში

რეპორტაჟი

**წვიმიანი დღე**

მოთხრობა

**აპრილის სიმღერები**

ლექსები

საინტერესო თემაზე

**ჩვენი საოჯახო კლუბი**

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი
№ 4 აპრილი 1961 წ.

საბჭოთა ქალი

გამოცემის მეხუთე წელი

9158

# მტკიცე ხასიათი



ამ სანაპირო ქალაქში ყველა ქუჩა, ყველა სახლი ნაცნობია, განსაკუთრებით „პარკის უბანი“. ვინ იცის, რამდენჯერ შემოუვლია ბიჭურად გადაცმულს ველოსიპედით ეს ფართო და ლამაზი ქუჩები, რამდენჯერ განგებ დაუფრთხია ერთად თავშეყრილი ბავშვები, აუფორიაქებია მეზობლის კრუხ-წიწილი, შეჯიბრებია მეეტლეებს. მაშინ ყველა შურას ეძახდა. უყვარდა ფეხბურთი, კალათბურთი, ბიჭებთან კინკლაობა და ამავე დროს ფოთის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა.

...იმ დღეს დაფიქრებული მიაბიჯებდა ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტისაკენ. ახალი ცხოვრება იშლებოდა მის წინ, ახალი მიზნები, მისწრაფებები.

— დავრაზმავ ფოთის ახალგაზრდობას. ვეცდები გავამართლო ნდობა.

ეს იყო 1939 წელს. ახლადუმაღლესდამთავრებული ნინო ქვანია ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

ბავშვობიდანვე ჰქონდა ერთი თვისება, რასაც აიჩემებდა, აუცილებლად უნდა გაეკეთებინა.

პირველ რიგში კოლხიდმშენზე—ჭაობების ამოშრობაზე აიღო შეფობა ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა, ყოველ უჯრედში ახალგაზრდული ცეცხლი დაანთო. მხოლოდ მეზღვაურები უყურებდნენ პირველ ხანებში ნინოს ალმაცერად. მზისგან გარუჯულ ვაჟკაცებს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვათ გარეგნულად ასეთი ნაზი და სუსტი ქალიშვილი საქალაქო კომიტეტის მდივნად. მაგრამ მალე მასში იმდენი შინაგანი ძალა და ხასიათის ისეთი სიმტკიცე დაინახეს, რომ აზრი შეიცვალეს. ამავე მეზღვაურებმა მიართვეს საჩუქრად მამაც ქალიშვილს პატარა რევოლვერი.

— ხომ არ გაგიჭირდა მუშაობა?—ჰკითხეს ნინოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგებმა.

— გამიჭირდა?—მან ეშმაკურად გაიღიმა კაბინეტის კარები გადაკეტა და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— ეს რა არის?—შესძახეს მეგობრებმა. ნინოს ხელში რევოლვერმა გაიელვა.

— თვითონ მეზღვაურებმა გადმომცეს საჩუქრად...

1939 წლის ბოლოს ნინოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გამოუძახეს.

კიდევ ახალი სამუშაო არე გადაიშალა მის წინ. ნინო ქვანია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს, რესპუბლიკის პიონერთა და მოსწავლეთა ხელმძღვანელობა ჩააბარეს. და ყოფილი პიონერი გაიტაცა პიონერულმა რომანტიკამ, აღზრდის, სწავლების, ბავშვთა შემოქმედების საკითხებმა. სადაც კი სკოლები, პიონერთა ბანაკები, მოედნები, საბავშვო სახლები, პიონერული კლუბები და ტექნიკური სადგურები ეგულებოდა, ყველგან მიდიოდა, დახედავდა, სწავლობდა მათ მუშაობას. როგორ გავიდა ათი წელი, არც გაუგია.

მეხსიერებაში ყველაზე მძაფრად ჩარჩა ომის საშინელი დღეები. ომის დროს ყველაზე უმწეონი ბავშვები არიან. ნინო სათავეში ჩაუდგა ომისგან დაზარალებულ, უდედმამო ბავშვების პატრონობის საქმეს. მოდიოდა და მოდიოდა ობლად დარჩენილ ბავშვთა ეშელონები, რესპუბლიკაში არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდებოდა საბავშვო სახლებისა და ბავშვთა თავშესაფრების ქსელი. საჭირო იყო თბილი ტანსაცმელი, სურსათ-სანოვაგე, მშობლიური სითბო. ნინო მთლიანად ეკუთვნოდა ბავშვებს, მათი მწუხარებით და სიხარულით ცხოვრობდა.

ფრონტსაც ჭირდებოდა ბავშვების დახმარება. საჭირო იყო მათი დარაზმვა სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად. პიონერები და მოსწავლეები მოეფინენ მინდვრებს. აგროვებდნენ ასკილს, კატაბარდას, გვირილას, ემსახურებოდნენ ჰოსპიტლებს.

ბუნების შეცდომა იქნებოდა, რომ ასეთ ქალიშვილს არ ჰყოლოდა საკუთარი ბავშვები. და აი, დამთავრდა ომი. დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. ნინოს შეხვდა ნამდვილი მეგობარი. გაჩნდა მანანა, მერე მარინე. გაიზარდა ოჯახი, მეგობრების და ნათესავების წრე, და ეს იმ დროს, როცა ნინო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა.

ნინო ქვანიას არ აშინებდა სიძნელეები, მითუმეტეს მაშინ, როდესაც გვერდით ედგა გულისხმიერი მეუღლე. ვანო ზოდელავა, თვითონაც პარტიული მუშაკი, ყოველნაირად ცდილობდა შეემსუბუქებინა ოჯახური საქმიანობა ნინოსათვის.

ნინო ყველგან იყო—თათბირებზე, აქტივის კრებებზე, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში—გულისხმიერი, მომთხოვნი, პრინციპული.

საბჭოთა მთავრობამ და პარტიამ ღირსეულად დააფასეს მისი შრომა. ნინოს მკერდს უმშვენებს ლენინის, წითელი ვარსკვლავის, საპატიო ნიშნის ორდენები, მედლები.

გავიდა წლები. გაჩნდა მესამე შვილი—პატარა ვანო, ახალი სიცოცხლე, ახალი სიხარული. ამჟამად ნინო ქვანია თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას უდგას სათავეში.

ბავშვები და ფაბრიკა. ფაბრიკა და ბავშვები. არც იცის, რა არის მოსვენება. თვალებს რომ ხუჭავს, მაშინაც არ ეძინება. დილით ერთად გადიან სახლიდან შვილები და დედა. შვილები—საბავშვო ბაგაში, სკოლაში, დედა—წარმოებაში. დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობენ საქსოვი დაზგები. თავგამოდებით შრომობენ ფეიქრები, მხატვრები, დესინატორები, მუშები, რომ ქართული აბრეშუმი საუცხოო იყოს, რომ თვალს ახარებდეს ჩვენი ადამიანების საზაფხულო ტანსაცმელი, ფერად-ფერადი და ლამაზი.

რაც ნინო ქვანია ჩაუდგა სათავეში აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა არავისთვის დაუნებებია. გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მაშინაც კი შემართული იბრძოდა, როცა თავს შემზარავი უბედურება დაატყდა. ეს იყო 1960 წელს პირველი მაისის წინა დღეებში.

ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ვანო ზოდელავა. ნინომ დაჰკარგა მეუღლე და მეგობარი.

შეტორტმანდა უბედურებისაგან თავზარდაცემული. მაგრამ თავს ნება არ მისცა სამი შვილის დედამ გატეხილიყო—შვილები დახმარებას სთხოვდნენ, საქმე ეძახდა. გაკაჟდა.

საყვარელი მეუღლის ცხედართან თავდახ-

რილი თხოულობს აჩვენონ ფაბრიკის კოლექტივის საპირველმაისო დემონსტრაციაზე გამოსვლის გეგმა.

— ჩვენი ფაბრიკა კარგად უნდა გამოვიდეს. არ შევრცხვეთ, ამხანაგებო!—შეაქვს შესწორებები გეგმაში, რჩევას აძლევს ქარხნის კოლექტივს.

ხანდახან გიკვირს კიდეც, საიდან არის ასეთი ვაჟკაცური სულის ნაპერწკლები გარეგნულად ამ სუსტ ქალში.

ფაბრიკა, ბავშვები, ოჯახი და ასეთი დარდიანი გული! არა, არ შეიძლება ასე! თუ მწუხარებას წამოუჩოქე, გაგსრესს, დაგაგლახებს. ასეთი ცხოვრების უფლება მას არა აქვს და ნინოც გაათკეცებული ენერგიით შეუდგა შრომას.

„როგორ, იქ ორი ათასი მუშა საქსოვ დაზგებთან შრომობდეს და გეგმა არ შესრულდეს?

ფაბრიკის კოლექტივის დაძაბული შრომა ბრწყინვალე შედეგს აღწევს: მოდის ქართული აბრეშუმი, ახალ-ახალი ქსოვილები: „დაისი", „ცისკარი", „ლელო", „მარიხი", „ციმციმა", „დარბაისელი", „საზეიმო" და სხვა მრავალი—გულისგასახარელი და თვალწარმტაცი.

1960 წლის 31 დეკემბერი. ფაბრიკამ დღიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ღამის თორმეტ საათზე ნინო მიდის საამქროებში, მქსოველებს ულოცავს ახალ წელს, უსურვებს წარმატებებს მომავალში.

სახლში შვილები ელოდებიან. დაღლილი შეაღებს კარს და მერცხლებივით შემოეხვევიან, ეჭიკჭიკებიან. ქრება დაღლა. ისევ ახალ ძალას გრძნობს. ტელეფონზე განუწყვეტლივ რეკენ, ულოცავენ. სახლი მეგობრებით, ახლობლებით ივსება. პატარა ვანოს ეძინება, უნდა რომ დედამ დააძინოს, მხოლოდ დედამ, თალხ კაბაში ხელი ჩაუვლია და თავის საწოლისაკენ ექაჩება. მანანა ფეხსაცმელს უწმენდს დედას, რომ არ შეჰყვეს ძველი წლის მტვერი ახალ წელს. მარინე ტკბილეულს თავაზობს. საახალწლო მაგიდა გაშლილია. მაგიდაზე ვანოს საყვარელი ღვინის ჭიქა სავსე დგას. მამა ამ ოჯახში მუდამ იცოცხლებს. ასე ასწავლის დედა შვილებს.

სწრაფად გარბიან ახალი წლის დღეები. ნინო მოსკოვში მიემგზავრება. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა საფეიქრო მრეწველობის ნაწარმთა გამოფენის მონაწილეა. გამოფენაზე წარმოდგენილ ძალიან ბევრ კარგ და ლამაზ ქსოვილთა შორის შეუმჩნეველი არ რჩება ქართული აბრეშუმის სტენდი. ფაბრიკაში მოდის მისი დირექტორის ელვა-დეპეშა: „ჩვენმა „დაისმა" მსოფლიო კონკურსის უფლება მოიპოვა. შვიდი ქსოვილი ფრიადზე შეფასდა. თხუთმეტი მიიღეს. გილოცავთ გამარჯვებას."

...დინჯად მიდის მოსკოვის ქუჩებში ქართველი ქალი. გული სიხარულით აქვს სავსე: მოსკოველებს მოსწონთ ქართული აბრეშუმი. დაიდო სავაჭრო ხელშეკრულებები რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის ქსოვილ-ვაჭრობის ბაზებთან.

დაე, ყველგან, ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში ისმოდეს ქართული აბრეშუმის ნაზი შრიალი!

**მარგო თოდუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა დაავიწყებს!

იმის შემდეგ დიდმა, ძალიან დიდმა დრომ განვლო. მას თმებში დაუზამთრდა, მხრებზე ჩამოათოვა, მაგრამ ჭიათურაში ჩამოსვლის პირველი დღეები, პირველი სამედიცინო პრაქტიკა ახლაც გუშინდელ დღესავით ახსოვს ლეტეცია გოცაძეს. ან კი რა დაავიწყებს, როცა მარგანეცის ქალაქში იმ ხანად არსებულ დაავადებათა, მათ შორის, მაღაროელთა პროფესიულ დაავადებათა მთელი სიმძიმე თავისი მხრებით გადაიტანა.

ბავშვობა ლეტეციამ მაიაკოვსკის რაიონში, სოფელ წითელ ხევში გაატარა. მშობლები წითელ ხევში სახალხო განათლების პირველი დამფუძნებლები იყვნენ, ბავშვობაში მხატვრობით იყო გატაცებული, ფუნჯიც ემორჩილებოდა და ახლობლები ფიქრობდნენ, რომ მისგან უსათუოდ მხატვარი დადგებოდა. თუმცა ლეტეციას თეატრიც ძალიან იზიდავდა. სოფლის სცენაზე გოგონას ბევრჯერ მოუხიბლავს თანასოფლელები, მაგრამ როცა ჯერი მომავალი პროფესიის არჩევაზე მიდგა, მან ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა აირჩია და სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა.

სტუდენტობის წლებმა შეუმჩნევლად გაიარა. ლექციები პრაქტიკულმა საქმიანობამ შესცვალა. ლეტეცია ჯერ ზეკარ-საირმის საექიმო პუნქტის გამგედ დანიშნეს, 1937 წელს კი ის ჭიათურაში ჩავიდა და მაღაროელთა ქალაქში დამკვიდრდა.

— ადამიანის ჯანმრთელობა ყველაზე მთავარიაო,—ხშირად უთქვამს ლეტეციას და თითქმის მეოთხედი საუკუნეა ამ ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას. ზოგჯერ დიაგნოზის დასმა ჭირდა—ავადმყოფობა ავადმყოფობას ჰგავს და როცა ექიმი თავის ცოდნას და გამოცდილებას არ ენდობოდა, წიგნებს მიუბრუნდებოდა, ათასჯერ გადაკითხულს კიდევ გადაიკითხავდა და როცა თავის სისწორეში დარწმუნდებოდა, მკურნალობის ყველა მეთოდს იხმარდა, რომ ადამიანი ფეხზე დაეყენებინა.

ვინ იცის, რამდენი თეთრი ღამე გაუთენებია ავადმყოფის საწოლთან. ეს ჭაღარა, ახლა რომ შეხედვისთანავე თვალში გვხვდებათ, მარტო სიბერისა როდია. ღამით მძიმე ავადმყოფის საწოლთან იმედად ტოვებდნენ პატარა ექიმს და დილით მის თმებს სითეთრე ემატებოდა, თვალებს კი, მთელი ღამე გახელილი რომ ჰქონდა, უძილობა არ ეტყობოდა. მასში ის სიცოცხლე კიაფობდა, ახლახან ავადმყოფს რომ დაუბრუნა მკურნალმა.

ლეტეცია გოცაძე მარტო მკურნალობით როდი იცავდა მაღაროელთა ჯანმრთელობას. იგი ებრძოდა ავადმყოფობის გამომწვევ ყოველგვარ მიზეზს. ხშირად ნახავდით მას მაღაროელთა საერთო საცხოვრებლებში, სამუშაო ადგილზე. სხდომა და კრება ქალაქში ისე არ ჩატარდებოდა, რომ ლეტეცია ომახიანი სიტყვით არ გამოსულიყო და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება არ მოეთხოვა. მიზანსაც აღწევდა. ჯეროდათ მისი და აკეთებდნენ ისე, როგორც ის მოითხოვდა.

ამჟამად ლეტეცია გოცაძე ჭიათურის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეა. თმაშევერცხლილი ქალი ახლაც ახალგაზრდული ენერგიით აღებს პალატის კარს და ავადმყოფებთან იმედი, სიცოცხლე და სიხარული შეაქვს. ამიტომაცაა, რომ იგი უყვართ, ძალიან უყვართ პაციენტებს, საავადმყოფოდან წასვლის შემდეგაც არ ივიწყებენ და მადლიერების გრძნობით გამთბარ წერილებს უგზავნიან თავიანთი სიცოცხლის მხსნელს.

ლეტეცია მარტო ექიმი კი არა, კარგი დიასახლისი და დედაა. მისმა ორმა ვაჟმა—ჯემალმა და ჯამბულმა წარმატებით დაამთავრეს საშუალო სკოლა და დედის კვალს გაჰყვნენ.

ახლა ისინი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები არიან. დედის კალთაში აიდგეს ენა, დედამ შეაყვარა მათ სწავლა, შრომა და... როცა სტუდენტობის წლები მათთვისაც შეუმჩნევლად გაივლის და პირველი პაციენტის საწოლთან წარდგებიან, დედა იქნება აქაც პირველი მასწავლებელი, პირველი დამხმარე, სამედიცინო ხელოვნებაში დაოსტატების გზის პირველი მაჩვენებელი.

**ლეილა ბიწაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასე წავიდა სამი ათასი

ერთი წავიდა, მეორე წავიდა, მესამე წავიდა და თანდათან დასტოვეს სახლი, მაგრამ იგი მაინც დარჩა მათი მომლოდინე, მათზე ფიქრში გულდალეული. აი, ერთისგან მოვა წერილი და უხარია ყველას და ყველაფერს—ადამიანებს, კედლებსაც, საგნებსაც, მათ ხსოვნას რომ ატარებენ. აგერ, ჩამოვა კიდევ მეორე, ორიოდე დღე დარჩება, ყველა კუთხეს შემოივლის, ზოგან რაღაცას მოიგონებს, გაიცინებს ან დაღონდება, მერე წავა ისევ... თავის გზაზე. მესამე კი არ ჩამოვა, არც წერილს გამოგზავნის. ალბათ, რაიმე უშლის ხელს, თორემ ამას არ იზამდაო,—ფიქრობს სახლი და მაინც იგონებს, შეიძლება უფრო მეტადაც იგონებს ამ მესამეს.

ბავშვები იზრდებიან, მერე მიდიან და ზოგს ნაკლებად ახსენდება ის, რაც დასტოვა, ზოგს მეტად.

ერთი წავიდა, მეორე წავიდა, მესამე წავიდა, და ასე წავიდა მარტო სამი კი არა, სამი ათასი. დაიხურა კარი მათი წასვლისას და მათი სახელი დაიტოვა.

... ღამით, როცა ყველა იძინებს, როცა ტალანში არ დადის არავინ და პატარების ოთახში ყველაზე პატარა გოგონას ლამაზი სიზმარი ეწვევა, როცა ღამის გადია ერთს კიდევ მიაყურებს სიჩუმეს და თვითონაც იძინებს—სახლი ფხიზლობს და წასულების სახელებს იმეორებს. მერე ჩუმად აშრიალდება ფურცლები, სადაც დაწერილია სამი ათასის ყოველ დღეზე—როგორ ამბობდნენ ლექსებს, როგორ ცეკვავდნენ, როგორ ისწავლეს კითხვა, როდის იყვნენ ავად, რამდენი მოიმატეს წონაში, როგორ სწავლობდნენ, ვის აწყენინეს, ვინ გაახარეს, როგორ გავიდა მათზე ზრუნვაში წლები და სად არიან დღეს, სად არიან... აქ მეტი აღარ იფურცლება ფურცელი, აქ უკვე წყდება ნაწერი, მაგრამ სახლმა იცის, სად არის ერთი, მეორე, ოცდამეშვიდე, მეასე, ხუთასმეორმოცე, როგორ არიან: კალენიკე ნოზაძე—ბიჭი მეოცნებე და ნიჭიერი, სკოლის თვალი, ოქროს მედალოსანი, სამხედრო სამსახურიდან თავის ცხოვრებაზე ძუნწად რომ იწერება და უფრო შინ დარჩენილების ამბავი აინტერესებს, მეგი აფხაზავა და ნაზი მგელაძე, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში რომ სწავლობენ, ციალა მახარაძე, საბავშვო ბაღის გამგედ რომ მუშაობს ბაილეთის ჩაის ფაბრიკაში.

... მერე დღე შემოდის სახლში და ას ორმოცდაათი ბავშვი იღვიძებს. წასულების მოგონება მთავრდება და მათ შემდეგ რომ მოვიდნენ, მათზე ზრუნვაში იძირება ყველაფერი.

ეს ნაოჭები ამ ზრუნვაში დაიკეცა თვალის უპეებთან, თმა ფიქრში თეთრად შეიფერა და სულ არ არის მართალი, თითქოს მხოლოდ დროა, ადამიანს რომ უნაოჭებს სახეს და თმას უთეთრებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდად თვლიან უმანკო ქეიშვილს, ჯერ არ ამბობენ, რომ დრომ კვალი გაავლო მის გარეგნობას, ჯერ ამბობენ, რომ მის ლამაზ სახეს მხოლოდ ორიოდე ნაოჭი დააჩნდა და თმაში სიშავე სჭარბობს. ალბათ, ხასიათის გამოცაა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა დეიდა უმანკო, თორემ ბავშვებს რომ ცხოვრების გამოცდილება ჰქონდეთ, გაუკვირდებოდათ: რაც მათზე ზრუნვაში საფიქრალი არ ელევა ამ საყვარელ ადამიანს, როგორ არის კიდევ ასე კარგად—მაღალი, მომღიმარი შავი თვალებით, მუდამ ზომიერად თბილი და ზომიერად მკაცრი.

ის ძალიან დიდი ოჯახის დედაა. ეს ისეთი ოჯახი არ არის, სადაც ცხოვრობს ორი-სამი ბავშვი, ქმარი, დედამთილ-მამამთილი. მართალია, მას ჰყავს ორი ქალიშვილი, უმაღლესდამთავრებულნი, ჰყავს ქმარი, მაგრამ, ალბათ, მათზე ზრუნვაში იმდენი ენერგია არ დახარჯვია, რაც მეორე ოჯახს სჭირდება.

მან უკვე ოცდასამი წელია მეორე ოჯახის დედობა ითავა, მოადგილედ ჰყავს ნადია ჩანჩიბაძე, რომელიც ბავშვების სასწავლო-სააღმზრდელო საქმეს განაგებს, ჰყავს აღმზრდელები, ექთანები, ღამის მორიგეები, მზარეულები, დარაჯები, ჰყავს იმიტომ, რომ ას ორმოცდაათი ორი არ არის, და თუ ამ ას ორმოცდაათი ბავშვიდან ნახევარი მაინც სკოლაში დადის, ნახევარი ახლადფეხადგმულია და ხშირად დედაზე ტირის.

აქ ყველას ყველასათვის აქვს შემონახული

სითბო და არ ხდება ისე, რომ ერთს მეტად უვლიდნენ და მეორეს ნაკლებად.

ერთნაირად იზრდებიან, ერთნაირად უყვართ ერთმანეთი, აღმზრდელები და დედა უმანკო, რომელსაც მათზე ფიქრში თვალის უპეებთან ნაოჭები დაეკეცა და თმა თეთრად შეეფერა.

ბავშვები მას თავიანთ გულში დედის მაგიერად თვლიან, მაგრამ დედას ეძახიან.

ყოველთვის ცდილობენ არ აწყენინონ და თუ ვინმეს ეს დაემართა, განიცდიან და ფიქრობენ გამოსყიდვაზე.

ერიდებიან არ მიაყენონ ტკივილი ცუდი სწავლით და ამიტომ არცერთი მოსწავლე არ არის ოროსანი.

იციან, რომ უხარია ფრიადები და სკოლიდან რომ ბრუნდებიან, სიხარულით უშლიან დღიურებს.

იგი ჩამოივლის შუადღის მერე ოთახებს, როცა ბავშვები მეცადინეობენ, კარს უკან შეჩერდება და ყურს უგდებს. იშვიათად თუ შევა მეცადინეობისას, რომ ხელი არ შეუშალოს, დახედავს თავჩაღუნულებს და გამოვა.

მას უყვარს პიონერულ შეკრებებზე დასწრება.

იგი საღამოს, თავისუფალ საათებში ბავშვებთანაა და მათთან ერთად მღერის „თბილისოს"...

დედა უმანკომ იცის, ვინ რომელ წრეში მუშაობს და ვის როგორი წარმატებები აქვს.

მან იცის, ვინ არ ისადილა კარგად და ვის უყვარს ტკბილეული.

მან იცის, როგორ უნდათ პატარებს მოფერება და მის კალთაში ჯდომა.

დედა უმანკო ზოგჯერ ძილისპირულსაც უმღერებს და როცა ფრთხილად გამოვა მათი ოთახიდან, მოზრდილებში გაერევა, მას რაღაც აწუხებს და არ ამბობს: რამდენიმე თვეში კარი დაიკეტება, რამდენიმე თვეში მას დასტოვებენ და წავლენ.

დედა უმანკო არ ამბობს, მაგრამ თავისთვის ფიქრობს, რომ ერთს ხერსონში მოაწყობს უმაღლეს სასწავლებელში, მეორეს — თბილისში, მესამეს შორს ვერ გაუშვებს და თავისთან დაიტოვებს, მახარაძეში.

იგი ახლა მათთან უფრო დიდხანს რჩება და ხშირად იგონებს წასულებს ვინც უსმენს, ალბათ, ხვდება, რატომ ყვება ასე ხშირად დედა უმანკო წასულებზე — ისინი წასასვლელები არიან და თითქოს ეშინია არ დამივიწყონო.

კვირა დღეს, როცა ბავშვები თვითონ არიან მზარეულები და დამლაგებლების მაგიერ მოზრდილები ალაგებენ ოთახს, დედა უმანკოს უხარია თავწაკრული გოგონების ცქერა და მათი გამზადებული კერძის გასინჯვა.

მას უყვარს სადღესასწაულო სუფრის გაშლა, ძვირფასი, ისეთი, რომ ყველაფერი იყოს, რასაც ინატრებენ ბავშვები, რომ სუფრაზე ეწყოს ყველანაირი ნამცხვარი და თუ ახალი წელია, გოზინაყიც.

იგი ხშირად შედის რაიკომში და შემხვდური ეუბნება, რომ თავის ოთახშია რაიკომის ინსტრუქტორი ლილი პატარაია, მისი გაზრდილი და საყვარელი გოგო, ეუბნებიან, რადგან გრძნობენ, რომ ხშირად ლილის სანახავად შედის რაიკომში დედა უმანკო.

ბევრმა იქნებ კიდევ ბევრი რამ არ იცის უმანკო ჭეიშვილზე, მაგრამ მათ ხომ იციან, ვინც აქ იყო და წავიდა... ვინც აქ არის, ჯერ არ წასულა. მაგრამ წავა და წაიღებს ამბავს.

ორმოცი წელია იღება ამ სახლის კარი. ადრე მხოლოდ ორი ოთახი იყო და ორმოცი ბავშვი იზრდებოდა. მერე დაემატა ხუთი ოთახი. შემდეგ ერთსართულიანი შენობა ორსართულიანმა შესცვალა, ოცდათორმეტოთახიანმა.

ყოველწელიწადს სიხარულით იღება კარი აღსაზრდელების მისაღებად, სინანულით იხურება წასულების ზურგს უკან.

და რჩება სახლს იმედი — ერთისგან წერილი მოვა, მეორე ინახულებს, მესამე იქნებ ვერ ჩამოვიდეს, მაინც იფიქრებს მასზე. რჩება იმედი, არა ერთის, ორის ან სამის, არამედ სამი ათასის... სამი ათას ხუთასის...

**ლია კაკაბაძე**



## ბავშვებისათვის

## გამოცანები

კარი გავაღე, მღიმარემ
სიბრძნე სანათლედ მომართვეს —
ოცდაცამეტმა მეწყვილმა
თავთავის რიგზე მომმართეს.
თვალი მომჭრაცა მათ ფერმა,
მეგონოდათ ერთად რომ იყვნენ,
მრავალი ამბები ლოდინით
რასაც გულწრფელად მომიყვნენ.

—

წვერმახვილი ჩხირი არის,
მოსწავლეთა იარაღი,
რა ვიცით, რომ გულშავია,
უყვარს თეთრი ქაღალდი.

—

ადრე ფრინველის ფრთა იყო,
მის წინაპარსა ჰგავს დღესაც,
თავის ქუდაზე მაწანოშს,
კალამს ქუდაზე თესავს.

—

მიწის მშვილია, ისევ
დედამიწაში ჯდება.
მუცელი გამომშრალია,
სვამს და არასდროს თვრება.
განთქმული ჩვეულება აქვს
დიდს, პატარას და ყველას:
მწყურვალს თუ რამე უცხარი,
გაიმეორებს ხელად.

—

წვერს არასდროს იპარსავს,
კუდმოკლე, დიდ ყურება,
მჯდარიცა და ცოცხალი
პატრონის ემსახურება.

—

მინდვრიდან წამომიყვანეს,
გამოლურჯნეს და გამაძღევეს,
ქვით მომზიდეს,
წყლით მოხარშეს,
ცეცხლის ალზე ამაფარეს,
იქიდან რომ ამოყვანეს,
მერე ხელ მთლად გამათავეს.

—

პარლვი ეწვის, სხეული დნება,
გარს ნათელი ეფინება.

—

სამას სამოცს ჰყავს სამოცი,
თორმეტჯერ ჰქვია მათი.
მეორეს კლავენ დიდი შიშით,
დიდებს კიდევ პატარები.

**გ. წერეთელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზაზე



მხატვარი დ. ერისთავი

... გზაზე ნესტორა და მაშო მოდიან.

გზა უასფალტოა და ზედ მხოლოდ მათი ნაბიჯები ხრაშუნობენ. სხვა არავინ არ ჩანს არც წინ, არც უკან...

უკან ის პატარა ბაქანია, წეღან რომ მატარებელი გაჩერდა. ბაქნის მოლარეს, ალბათ, უკვე ჩაეყვინთა და ქუდაწეული მორიგე კი ტელეფონთან ამთქნარებს, ყბები ეხევა...

გზის ორივე მხარეს მშვიდად, ჩუმად შრიალებენ ჩაის ბუჩქები...

ისინიც მშვიდად და ჩუმად მოდიან.

შვილთან იყვნენ მეზობელ რაიონში. სამაისოდ ნანული იქაურმა ინჟინერმა წაიყვანა, კაი ორი თვეა არ ენახათ და ახლა «გადაინახულეს».

პლანტაციების ბოლოს მეველის კარავს ჩაუარეს. კარავში სანთელი ჩაბჟუტულა, ეტყობა მეველეს ძინავს.

სიბნელეა და გზაც უცნაურად ჩაშავებულა.

გზა მალე ტყეში შებორძიკდება, შემდეგ მდინარეს ჩაჰყვება, მერე კი სოფელში... ნესტორამ უცბად, რაღაცას ფეხი წამოჰკრა და უგემურად აჯუჯღუნდა: დასწყევლოს ღმერთმა!..

მაშომ უნებურად მოიხედა უკან და მერე ქმარს დააკვირდა.

წარბებშეჭმუხვნილი ნესტორა ჯიქურ მიაბიჯებს და მხრიდან ჩამოღებულ ჩემოდანს ფეხზე მიდებულს მიაქანჩალებს.

მაშოს არაფერი უთქვამს, არც ნესტორას დაუძრავს ენა.

მოდიან ისევ ჩუმად და ნელა...

ტყეში რომ შევიდნენ, უფრო ჩამობნელდა. ღრუბელმა ძირს ჩამოიწია და ხეები თავმოჭრილებივით დგანან.

სიწყნარეა.

მხოლოდ ფოთლები შრიალებენ.

რა ლამაზი ტყეა.

ნესტორას ყოველთვის მოსწონდა ეს ტყე, ყოველთვის უყვარდა...

ახლაც მოსწონს?

ახლაც უყვარს?

ნესტორას ღიმილი შეეპარა გაუპარსავ სახეზე, აუფრთქიალდა გული. მერე მხრებზე და მკლავებზე შესცივდა.

მაიააა... — ნაზად აჩურჩულდნენ ფოთლები...

მაიაა... გრძნობს ნესტორა, რომ მაშოს ტუჩები უთრთის.

«აქ იყო?»... — ფიქრობს შემდეგ.

მაიააა — ჩუმად იძახის რაღაცა ხის ძირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«აქ არ ყოფილა, იქით, ზევით»...

მაიააა...—ყრუდ იძახის ის რაღაცა მეორე ხის ძირას და მიდის ძახილი ზევით, ზევით დიდ ცაცხვამდე, მერე ისევ სიწყნარეა და მარტო ფოთლები შრიალებენ.

ნესტორას მაია უყვარდა მაშინ.

მაგრამ მაია ერთ დღეს ადგა და ვიღაცას გაჰყვა...

გამწარებული ნესტორა მთელი კვირა გაშტერებული დადიოდა, მერე ჯინაზე მეზობლის ობოლი გოგონა მაშო შეირთო.

მაგრამ რაღა გამოვიდა, ნესტორამ ცოლში ის მაინც ვერ ნახა, ის მაინც ვერ იგრძნო, რაც... არც ლამაზი იყო მაშო, მალე ისიც კი მოეჩვენა თითქოს მაშოს დაჭორფლილი, დატალული ჰქონდა სახე და გულამღვრეულმა ოჯახს ვერ დაუდო გული, გაშორება მოინდომა...

«თავს ნუ მომჭრი, ნესტორ, ხალხს სხვანაირად ნუ აფიქრებიებ ჩემზე, ცოტა ხანს იყავი, შენ გენაცვალე, ცოტა ხანი მაცალე და მერე რაფერც გინდა»... — ემუდარებოდა აცრემლებული მაშო.

... იყო, იყო ნესტორა ცოტახანს. მერე ომიც დაიწყო და მოხალისედ წავიდა. ომის დამთავრების შემდეგ, არც უნდოდა შინ ჩამოსვლა, მაგრამ შვილის უნახაობამ აღარ მოასვენა და ისევ სოფელს დაუბრუნდა... მაშო სიხარულით ჭკუაზე აღარ იყო, იმ საღამოსვე დაფაცურდა, ნათესავ-მოყვრები დაპატიჟა და კაი წვეულება გადაიხადა... მერე ნესტორა კოლმეურნეობაში ბუღალტრობდა, ფული შემოეჭამა და რამდენიმე წლიწადი ციხეში გაატარა... ამას წინათ ჩამოვიდა და, ახლა ფიქრობს, ფიქრობს და ვერ მიმხვდარა, რა ჯობია, ან როგორ...

გუშინაც ასე ფიქრობდა, გუშინწინაც, შარშანაც... რომ არ ეფიქრა, არც შეიძლებოდა! მართალია ცოლთან ისევ გულგრილად იყო, მართალია ისიც, რომ ბოლოს და ბოლოს ხელიც ჩაიქნია, შეურიგდა ამ მდგომარეობას და უკვე გაშორებაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა, მაგრამ ეს ფიქრი, განსაკუთრებით ბოლო ხანს, ყოველთვის აწვალებდა, ყოველთვის და ახლაც...

«...რას ვერჩოდი, რომ არ ვიცი?...

პატიოსანი მშრომელი ქალია მაშო, ასეთი იყო იგი ყოველთვის...

მაინც რას ვერჩოდი?!»

ტყის თავზე ღრუბელი ღრუბელს შეასკდა და წამოწვიმა.

წვეთები ნელნელა აკაკუნდნენ ფოთლებზე...

...მაშო ისე ბერდება, ისე გადაშორდა ორმოცს, რომ ნესტორას ერთხელაც არ უკოცნია მისთვის გრძნობით, ტკბილად, ერთხელაც არ მოფერებია...

ისევ ღრუბლები... და ტყე გადანთდა.

«აჰა, ეს ხეა»...

ნესტორა ოდნავ შეჩერდა ტოტებჩაგრეხილი ცაცხვის პირდაპირ, ჩემოდანს მეორე ხელის თითები ამოუყარა და მოეჩვენა,—თითქოს მაშო ტუჩებათრთოლებული მისჩერებოდა, მოეჩვენა, — თითქოს მაშო თავდახრილი იდგა...

ამ ხესთან ხვდებოდა ნესტორა მაიას, აქ აკოცა პირველად, აქ!..

მას შემდეგ კარგა ხანია, შემდეგ ომი იყო, ციხე იყო და ვის ახსოვს, რა არ იყო კიდევ, მაგრამ მაინც არ დაავიწყდა!..

ნესტორა ამ ხის ქვეშ ელოდა მაშინ, მაგრამ...

მესამე დღეს სახლში მიუვარდა გაცეცხლებული, მაგრამ მაია წასული დახვდა.

ჩაუარეს იმ ხეს, სხვა ხეებსაც და ტყიდან გავიდნენ.

მიდიან ისევ ჩუმად და ნელა.

მაშო დიდიხანია შეეჩვია ქმრის დუმილს!

...იჯდა ნესტორა ჩუმად, დადიოდა ნესტორა ჩუმად, ფიქრობდა ნესტორა და მხოლოდ თვალებით ლაპარაკი ისწავლა ნესტორამ...

...საწყალი მაშო!..

...ნესტორას ხალხში არასოდეს დაუმცირებია ცოლი, პირიქით, პატივსაც სცემდა და სარდიონამ რომ ჩიბათელ ბრიგადირს გაატანა თავისი ქალიშვილი, თუმცა საიდუმლოდ, მაგრამ ასე უთხრა: ენის ტლიკინი და ჯიჯღინი არ გამაგონო. შვილო... ხომ ხედავ, აგერ იმათ... სარდიონამ ნესტორას სახლისაკენ გაახედა შვილი.

საწყალი მაშო...

ამ ოცი წლის განმავლობაში ერთი გრძნობით მოფერება, სიყვარულით კოცნა არ უნდოდა? არ ეკუთვნოდა?

...ნესტორას დაღუპვის ამბავიც რომ მოიწერა ვიღაცამ ციმბირიდან, ერთ საღამოს პაპულია «მალიარი» ეხვეწა მაშოს შუკის ბოლოში, რას არ შეჰპირდა, ოღონდ ცოლად გამომყევიო, მაგრამ მაშომ ახლოსაც არ გაიკარა: ნესტორა ჩამოვაო.

საწყალი მაშო...

...როგორ ეფერებოდა სიძე გუშინ მის ნანულის!..

სახლის უკან, ნიგვზის ჩრდილში ისხდნენ ისინი... პატარასავით გაბუტული ნანული რაღაცას უყვებოდა ქმარს... ბოლოს სიძეს გაეცინა... მოეფერა ცოლს, მერე მაგრად აკოცა, ძალიან მაგრად და, მაშოს ცრემლები წამოსცვივდა...

იქვე სიმინდებში უცბად ნესტორამ ჩაახველა და მაშომ თვალები ამოიწმინდა. ალბათ, ქმარმა დაინახა და მაშოს შერცხვა...

...«რა უნდოდა სიმინდებში ნესტორას»?!. სიმინდებიდან ნისლივით ამოდის თამბაქოს რუხი ბოლი... ნესტორამ ისევ ჩაახველა ერთხელ, ორჯერ და ჩაფიქრებული ქვევით ჩაჰყვა ყანას.

რა უნდოდა ახლა სიმინდებში ნესტორას?! ანდა წეღან ისე რატომ უყურებდა მაშოს?!..

...ნესტორა რომ დაჭერილი იყო, თავს იკლავდა მაშო, ღამეებს ათენებდა, იწურებოდა, არაფერს აკლებდა არც შვილს, არც ოჯახს, რას იტყვის ნესტორაო; ახლაც არაფერი აკლია მას, გამოსული ქალია, ცნობილი, ამას წინათ გაზეთშიც გამოხატეს, როგორც კარგი მეჩაიე, მაგრამ თითქოს მაინც ყველაფერი აკლია...

ნესტორა, ნესტორა... .

არ იტყვის ნესტორაზე ცუდს, ნესნესტორა მაინც კარგია, სხვა უყვარდა ტორას და იცის ეს მაშომ, ვეღარ მოუბრუნდა გული და ამიტომაც დარდობს საწყალი ქალი...

ნესტორა, ნესტორა...

ახლავე მოკვდება მაშო, გადავარდება ამ წყალში, ამ ხეს თავს შეახეთქებს, ნავთს გადაისხამს, ცეცხლს მოიკიდებს. ყველაზე საშინლად მოკვდება, ოღონდ... ერთხელ, ერთხელ...

საწყალი მაშო...

«მაია გათხოვდა...

მაშო თხუთმეტი წელი მიცდიდა, მერე დაღუპული ვეგონე და მაინც მიცდიდა... შვილი გამიზარდა... ოჯახი არ დამინგრია...

მაია კი... გათხოვდა, არაფერიც არ უთქვამს, ისე გაიპარა... გაიპარა თუ არა, ჩამოვახიე კალთა, ხომ იცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრაზებულმა ნესტორამ თავი გაიქნია და ხალათის უკანასკნელ შეუხსნელ ღილს თითი ამოჰკრა.

«მაინც რაფერ გამითხოვდა?

ვუყვარდი მე მაიას?...

ვუყვარდი?...

მაშინ რაღა სხვას მისდევდა ეგ ოჯახდაქცეული, ვინ აძალებდა».

სოფელში მამალმა იყივლა, ძაღლებმა წამოიყეფეს და დამფრთხალი ჩიტი ტოტიდან ტოტზე გადასკუპდა... ღრუბლებმა მაღლა აიწიეს, ამოძრავდნენ, ვარსკვლავები გამოჩნდნენ და თანდათან განათდა.

...«კი მარა, მაშოც რომ ისე აცუნდრუკებულიყო... და იმ «მალიარს» გაჰკიდებოდა... პაპულია თავროკა ახლაც ქორივით უყურებს და თვალებს უნაბავს სადმე რომ შეხვდება»...

ნესტორა რატომღაც შეიჭმუხნა, რატომღაც გააჟრჟოლა: ალბათ არ ესიამოვნა ამის გაფიქრება, და რაღაცნაირად, თითქოს ნირწამხდარმა, დამორცხვებულმა გადახედა ცოლს...

მაშო ისევ თავდახრილი მიაბიჯებს და ლამაზი ტუჩები ოდნავ ერხევა, —თითქოს ჩურჩულებს, რაღაცას ბუტბუტებს...

მაგრამ ნესტორას არ გაუგონია რას ამბობდა მაშო... წყალი მიჩხრიალებდა ხევში, წყალი ისე ხმაურობდა, რომ ვეღარ მოჰკრა ყური. რა ღრმა ხევია!.. ნესტორას რატომღაც შეეშინდა ხევში გადახედვა.

ასეთი ღრმა და ჩაუფსკრულებული არასოდეს მოსჩვენებია. ...უცებ მაშო გაქრა და ნესტორა ხედავს, რომ ახლა ის მეორე მხარეზე, ზედ ნაპირთან დგას და ვითომ ეძახის: ნესტორააა!.. ნესტორააა!..

ჰო, ეძახის და ესმის ნესტორას, ჩურჩულივით ესმის... «აღარ შემიძლია მეტი, ბიჭო, რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, ხომ ჯობია, რომ მოვკვდე, ხომ ჯობია»?..

«რატომ, მაშო»?..

«აბა, რაღაა ჩემი ცხოვრება»...

«ეგ რა სათქმელია, ქალო»...

«გახსოვს, რაფერ ეფერებოდა სიძე ნანულის?» «მახსოვს. შენ რაღას ტიროდი მაშინ»... დამნაშავესავით დუდუნებს ნესტორა...,

«ეჰ» ...თითქოს ამოიოხრა მაშო. «ნანული კი დავაბინავე და აწი! აწი!.. «მშვიდობით, ჩემო ბიჭო, მშვიდობით... რომ დაგეფასებინა, მე ხომ ყველაზე მეტი კარგი მინდოდა შენთვის»...

...და მაშო თითქოს შეტრიალდა ხევისაკენ, გადაიხარა და ის იყო უნდა გადავარდნილიყო, რომ ნესტორა შექანდა უცებ და გაფითრებული მაჯაში სწვდა...

ამ დროს, მოსახვევიდან მანქანა გამოვარდა, ჩაჩრდილული სახლები გადაანათა და შეჩერდა.

— რომელი ხართ მაქ... —შოფერმა კაბინიდან თავი გადმოყო,—ნესტორ ბიძია?... მობრძანდით, მობრძანდით.

— გმადლობთ, გმადლობთ... უკვე მოვედით... რაღა დაგვრჩა,—დაბნეულმა ნესტორამ იცნო კოლმეურნეობის შოფერი.

— სად იყავით, ნესტორ ბიძია, ამ შუაღამისას?

— ნანული მოვინახულეთ და ახლა მოვდივართ...—ნესტორა გამოცოცხლდა.

— ჰოო...

მანქანა დაღმართზე ჩარიხინდა. ცოტა ქვევით ჭიშკარს ძაღლი მოაწყდა, მერე ღობეს გადმოახტა... «ჩემი მურია» — გაიფიქრა ნესტორამ,— «მაინც რაფერ გადმოხტა აი დაღუპული, ა?!.. ღობეა დაბალი, ხომ იცი, ძაან დაბალია ღობე»... ნესტორას გაუკვირდა: რატომ აქამდე ვერ შევამჩნიეო... «ალბათ, თხებიც ხტებიან ბოსტანში?.. კი, კი!.. იმ დღეს, მაშო დაობდა: გადაჯჯენეს ყველაფერიო... ხელახლაა შესაღობი, ცოდვაა ქალი».

ნესტორამ რაღაც არაჩვეულებრივი სითბო იგრძნო, რაღაცა გაუხარდა. გაუხარდა, რომ ახლა არის ღამე, რომ ეზოში მარტო მურია და ნიკორა დახვდება, საქათმეში ქათმებსა და ინდაურებს ჩვეულებრივ ეძინებათ, სახლი კი, სახლი მთლად გამოკეტილი იქნება: კარს თვითონ შეაღებს, სინათლე აინთება და...

...ნესტორას ერთი სული აქვს შინ მისვლამდე...

**გოდერძი ჩოხელი**



კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ნატო ჭინჭარაული

## რეპორტაჟი

კოხტა, არც ისე დიდი შენობა შორიდან ფაბრიკის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. როცა მიუახლოვდებით, უთუოდ შეამჩნევთ შესასვლელთან საპატიო დაფას, მრავალი ადამიანი გამხდარა ღირსი ატაროს მოწინავის სახელი. ქარხნის ეზო სუფთად და სათუთადაა მოვლილი. ეზოში ცისფრად შეღებილი ესტრადა დგას.

შევდივართ შენობაში. ვესტიბულში გამოკრულია კედლის გაზეთი, დგას მწვანე ნარგავები.

ვიწრო, ამაღლებული დარანით, რომელსაც ორივე მხარეს მინის კედლები აქვს, გადავდივართ შენობის მეორე ნაწილში. მოჩვენებით

ფოტო ო. თურქიასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი საათი ჩაის გადამწონ ფაბრიკაში



მარგო ქობულაშვილი ავტომატურ ხასწორთან

სიჩუმეს ცვლის მანქანების რიტმული ხმაური: ეს ჩაის შემფუთავი საამქროა.

ალუმინის დანადგარებით ვრცელი ოთახი გაყოფილია ორ ნაწილად: ზემოთ მოთავსებულია ავტომატური სასწორები, ქვემოთ—ჩაის შემფუთავი მანქანები. ავტომატური სასწორები მანქანებს უგზავნიან ზუსტად გამოზომილ ჩაის. თუ ჩვეულებრივი ნორმა ირღვევა, საამქროში ირეკება ზარი... ორივე სართულზე მუშები ფუსფუსებენ, თვალყურს ადევნებენ მანქანებს.

აი, შემფუთავი მანქანები 12 და 13. აქ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები მუშაობენ. ახალგაზრდა ქალს ნორა საბიაშვილს ვეკითხებით, კმაყოფილია თუ არა თავის მაჩვენებლებით. იგი თავმდაბლად პასუხობს: „არა უშავს რა"...

ამავე ბრიგადის წევრია ნატო ჭინჭარაული.

— თქვენ ხევსური ხართ, ნატო?

ნატო იღიმება:

— წარმოშობით.

— მეუღლეც ხევსურია?

შემფუთავი საამქრო



ღიმილი ცილდება ნატოს სახეს.

— დაიღუპა... ომში...

— მაპატიეთ, ნატო...

გვერდში მდგომ, უკვე ხანშიშესულ ქალს მარია ქაბატინსკაიას მივმართავთ:

— დიდიხანია მუშაობთ ქარხანაში?

— 1944 წლიდან.

ჩანს ქაბატინსკაიას სურს მეტი მითხრას, ვიდრე ჩემი მორიდებული კითხვა გულისხმობდა.

— ჩვენი საწარმო ყოველმხრივ კარგია, საუკეთესო ადამიანები მუშაობენ.

ზემო სართულიდან ნაცრისფერ კომბინეზონში ჩაცმული ქალიშვილი ჩამოდის.

— მარგო ქობულაშვილი,—გვაცნობს პარტორგანიზაციის მდივანი ქეთევან მელია.—მარგო კეთილსინდისიერად მუშაობს, დაუსწრებლად სწავლობს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. საწარმოში მრავალი ახალგაზრდაა. ბევრი აქ პირდაპირ საშუალო სკოლიდან მოვიდა. ასეთია ნანული კინწურაშვილი, რომელიც დეგუსტატორის პროფესიას ეუფლება.

ძალიან გვაინტერესებდა გაგანოველ მერი სუხიაშვილის გაცნობა. იგი მაღალ-მაღალი, შავგვრემანი, თავაზიანი ქალიშვილი აღმოჩნდა. მეცხრე წელია, რაც მერი ქარხანაში მუშაობს. ახლა ბრიგადირია. ეს უკვე მეორე ბრიგადაა, რომელსაც იგი დაეხმარა და ჩამორჩენილთა რიგებიდან მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. მერი ხშირად გამოდის ქარხნის ესტრადაზე როგორც მომღერალი და ფანდურზე დამკვრელი.

ბევრი მუშის პირადი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოსთან. კორეელი ქალი ნუგაი ქარხანაში 1941 წლიდან მუშაობს. ქმარი მასაც ომში დაეღუპა, ბიჭის აღზრდაში კი ამხანაგები ეხმარებოდნენ. ახლა მისი ვაჟკაციც ამავე ქარხანაში შრომობს და დაუსწრებლად უმაღლეს განათლებას ღებულობს.

თავისუფალ დროს ქარხნის სპორტულ დარბაზში ბევრ ახალგაზრდას ნახავთ. მუშაობენ სპორტული სექციები: ფრენბურთის, ჭადრაკის; მაგიდის ჩოგბურთის...

საამქროები უკან რჩება. მათ ხმაურს ენაცვლება ქარხნის ეზოს მყუდროება. უკან რჩება ღია ფერის შენობაც, რომელიც ერთი შეხედვით სულაც არ ჰგავს დიდ საწარმოს...

ახლოს რკინიგზა გადის. მძიმე საბარგო ვაგონებს ხშირად მიაქვთ სხვადასხვა ქვეყანაში სურნელოვანი ქართული ჩაი, რომელსაც თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა გზავნის.

**მანანა გვეტაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელოვანი საბჭოთა მეცნიერის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, სოციალისტური შრომის გმირის აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის სახელი ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში,ისე მის საზღვრებს გარეთაც.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს მშრომელებმა, ჩვენი ქვეყნის მთელმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნეს მათემატიკური მეცნიერების ამ გამოჩენილი წარმომადგენლის დაბადების 70 წლისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აპრილის სიმღერები

## შენ და აპრილი სამგორის ველზე

მზემ მოზიდა ოქროს მშვილდი,
ცას გაეკრა ცისარტყელა,
ინდი, მინდი, ჰყვავის შვინდი,
წყაროს ბროლში ისარკება.

გამოგოგდნენ ალუბლები,
როგორც თეთრი პატარძლები,
უციაგებთ ნამის თვლები,
უყურებ და ლამის თვრები.

პირს დაალებს ვაზის კვირტი
და მზის სხივებს ჰკენკავს ხარბად,
ყელყელაობს ივრის ზვირთი,
ზვარში გავლას ნატრობს ალბათ.

ელის საქმე გასახარი —
ვაზს მთის წყალი უნდა ასვას,
მიწის სიტკბო და შაქარი
რქაზე ოქროს მტევნად ასვას.

...ველს აპრილი თუ შვენოდა, —
შენით ძგერდა ლაღად გული,
მართლაც, აბა, უშენოდა
რა იქნება გაზაფხული...

ჯეჯილ-ჯეჯილ, ვენახ-ვენახ
ფერმისაკენ მიიჩქარი,
აგედევნა მერცხლის სტვენა,
ყვავილების ნიაღვარი.

თმას გიწეწავს ნიავქარი,
ფრთაგაშლილი სააპრილოდ,
მიდი, თავშლად მოიკარი
აყვავებულ ატმის გრილო.

გამოგოგდნენ ალუბლები,
როგორც თეთრი დედოფლები,
უციმციმებთ ნამის თვლები,
უყურებ და ლამის თვრები.

გამოგოგდნენ, დაგინახეს,
შეჩერდნენ და შერცხვათ შენი, —
მზერას სჭრიდათ შენი სახე
ამ აპრილის დამამშვენი.

უცხო ყალმით დახატული
სილამაზის ენთო თვალი, —
ეს შენ იყავ, — გაზაფხულის
და... ამ გულის დედოფალი.

**თეიმურაზ ჯანგულაშვილი**

## დარკვეთის გზაზე

მთებს რარიგ შვენის მწვანე საბანი,
გადაულახავს ღელეს ნაპირი,
მეჩურჩულება იასამანი:
ერთად ვმღერითო მე და აპრილი.

სული ეხება მათ წმინდა სუნთქვას,
და ვწვდები თითქოს ფართო
ტაშირებს,
მეც ხომ ამ ზეცის სილურჯე მსურდა,
მის სიმაღლესთან მზე მაკავშირებს.

წავალ, მოვძებნი ნაცნობ ბილიკებს,
მე რომ იები გამომატანეს.
ჭაბუკებს ღიმილს ჩამოვურიგებ,
ვნახავ ქალწულებს იმ ტანლატანებს...

სწორედ აქ იყო, ის ჩაუქები
წიაღს ებრძოდნენ ოფლით და
მკერდით:
იქნება კიდეც იქორწინეს და
მათი სავანე გახდა დარკვეთი.

ვიცი, შენც გიყვარს ოქროს ქალაქი
ეს იმერეთის თბილი გულია,
რაც გაიზარდა ხვავით, ბარაქით,
დღეს მეორმოცე გაზაფხულია.

მარადისობას არ უჩანს ბოლო.
ბედნიერებას ერთ ცისქვეშ ვხვდებით.
მე მჯერა, კარგო, შენ რომ შეგეძლოს
დარკვეთის გზაზე გაივლი მხოლოდ.
აქ დასახლდები!

**ეთერ ჯიშკარიანი**

## თუშეთის მთებში

ჯერ ისევ ნისლი ფარავს პირიქითს,
მთებზე დამსხდარან დილის ჯანღები.
კლდისპირს ჩაწნული მოჩანს ბილიკი,
როგორც მეცხვარის შოლტის
ნაგლეჯი.
ამ ბილიკს მივდევ გულმოხარული,
ვუცქერ ორწოხებს, თოვლის
ნარჩენებს.
ეხო გაუბამთ თავქვე ხმაურით
ქვებზე დალეწილ ქვის თეთრ
ჩანჩქერებს.
ვუცქერ იალაღს, თეთრი ცხვრის
ფარებს,
აქ მახლობელი ბევრი მეგულვის,
თავს გადმომყურებს პირთეთრი
მთვარე,
თუშის ქალივით გაფითრებული.
მესმის მღერიან მწყემსთა ქოხები,
წუთით თვითონაც არ ვარ მდუმარი.
და ვმღერი ლექსებს გულში
მოხეთქილს,
ამ აყვავებულ მთების სტუმარი.

**ვალერიან ყუშიტაშვილი**

## ჩემო ყელშურთხავ

ხმა იდუმალი
მიხმობს, მოვდივარ,
გნახავ, მოგაგნებ, ქალავ, საითმე.
თუ არ დამხვდები ჭალაის ბოლოს,
გადავაქოთებ ტყეებს საირმეს.
გადავაქოთებ
მაღალ ჭიუხებს,
თან გავიყოლებ ფრთამალ არწივებს.
კლდეებზე შურთხებს გავეკიდები —
ჩემი ფიქრი რომ მთებზე არწიეს.
ვივლი ამ მთებზე
ყვავილთ ამალით,
შემიფარებენ მწყემსის კარვები.
და თუ ვერ გნახე, ჩემო ყელშურთხავ,
მთებში ნისლივით დავიკარგები.

**მურთაზ ნაკუდაშვილი**

ანა ფრანჩესკი

# წვიმიანი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამვაი მიჩოჩავდა ნელა, უფრო ნელა, ვიდრე ყოველთვის. ციოდა, ცუდად დახურულ ფანჯრებიდან იჭრებოდა გამყინავი ორპირი ქარი. კლაუდიას ღრმად ჩაეწყო ხელები პალტოს ჯიბეებში, შუა ვაგონში იდგა და თავისი საყვარელი თამაშით ერთობოდა: ცალ ფეხზე დამდგარი, ცდილობდა წონასწორობა დაეცვა, როცა ტრამვაი უხვევდა, ამუხრუჭებდა ან უცბად დაიძვროდა ადგილიდან. ქალიშვილი კმაყოფილი იყო, როცა ამას მოახერხებდა და ხელახლა იწყებდა თამაშს, როცა მოულოდნელი ბიძგი აიძულებდა სწრაფად ამოეღო ჯიბეებიდან ხელები და სახელურისთვის ჩაევლო, რათა ძირს არ გაშოტილიყო.

კლაუდია დამტარებლად მუშაობდა ფეხსაცმლის მაღაზიაში, მას დღეში ოთხჯერ უხდებოდა ამ ტრამვაით მგზავრობა: იქით და აქეთ, იქით და აქეთ.

ამ ხაზზე კლაუდიამ იცოდა ყოველი გაჩერება, ყოველი ისარი. მას უხაროდა ვაგონში ნაცნობი მგზავრების შეხვედრა. გულით უნდოდა მისალმებოდა, გამოეკითხა მათი ამბავი. იქნებ, ამით მაინც მოეკლა დრო—ის დაუსრულებელი 20 წუთი, რომელსაც ტრამვაი მის გაჩერებამდე უნდებოდა.

გვერდით ადგილი განთავისუფლდა როგორც იქნა! ჩანთა, ხელთათმანები, ქოლგა. ესეც ასე. ყველაფერი ადგილზეა. კლაუდიამ დაორთქლა და პალტოს სახელოთი გაწმინდა სიცივისაგან შებინდული მინა. ფანჯარაში გამოჩნდა სველი, სრიალა ქვაფენილი და გამვლელთა ფეხები, რომლებიც უმოწყალოდ ამსხვრევდნენ ფანჯრებიდან სველ ასფალტზე დაღვრილი შუქის პატარა ბილიკებს. მან კიდევ დაორთქლა მინა და მთელი ფანჯარა გაწმინდა. ერთი წუთით ის გამჭვირვალე გახდა.

— „ღმერთო ჩემო, როგორ წვიმს!—გაიფიქრა კლაუდიამ.—ირგვლივ სულ ტალახია“. ასეთ ამინდში მას მუდამ ეჩვენებოდა, რომ თვითონაც ისეთი დაღვრემილი და ჭუჭყიანი იყო, როგორც ეს ქუჩა. «ცივა კიდეც, დასწყევლოს ღმერთმა! ნეტავ, ხვალ მაინც არ იყოს წვიმა»!

ფანჯრის იქით ნელა მიცურავდნენ მაღაზიის ვიტრინები, რეკლამები, კინო-თეატრების გაშუქებული აბრები. სულ ერთი და იგივე. არა, დღეს კლაუდია მართლაც რომ ვერაფრით ერთობოდა.

«ზაფხული... კიდევ რამდენი უნდა უცადო მის მოსვლას! ჯერ გაზაფხული, მხოლოდ მის შემდეგ მოვა ზაფხული. ისევ დათბება, ისევ აყვავდება ყველაფერი, საღამოები გახდება გრძელი და მე მომინდება ხეტიალი, ხეტიალი. კვირაობით მარიო ზღვაზე წამიყვანს... იქნებ, ისევ გავხდე ბედნიერი. ახლა კი—არა. ახლა არაფერია კარგი ამ ჩვენს ნაუცბათევ შეხვედრებში. ხშირად წვიმს კიდეც და არასოდეს არ ვიცით სად და როგორ მოვკლათ დრო“.

მას გაახსენდა კაფეს ბნელი ოთახი, ულიმღამო ლამფები, კალატოზების უხეში ხმები—ისინი მწკრივში ჩამსხდარნი ჭამდნენ, თავიანთ ბამბულებში გამოხვეულნი. იქვე რამდენიმე წყვილი, სულ ხნიერები. კუთხეში კი ის და მარიო, მთელი თავიანთი ოცნებებით და იმედებით.

ჰო, თავიდან ყველაფერი კარგად იყო. მარიო მან თავის დეიდასთან გაიცნო, ერთ კვირა დღეს, ზაფხულში. კლაუდიამ შეირბინა, რომ თავი მოეწონებინა ახალი შალის კაბით. სწორედ იმ დღეს მან პირველად დაივარცხნა სხვანაირად თმა და ძლივსძლიობით დაიმაგრა ორი-სამი სარჭით. წინათ კი ამას ვერასოდეს ახერხებდა, თმა ჯერ მოკლე ჰქონდა. მარიო მისი ბიძაშვილის—ფრანკოს მეგობარი იყო და იმ დღეს შემთხვევით შეევლო მასთან. კლაუდიას ის მაშინვე მოეწონა იმიტომ, რომ მტკიცე სახე ჰქონდა და შუბლზე ჩამოშლილი თმა, მარიოს კი ფიქრადაც არ მოსდიოდა მისი უკან გადაწევა.

მაგრამ მარიოს მისთვის არც შეუხედავს. მხოლოდ ისე შეავლო თვალი. ქალიშვილს მოეჩვენა, რომ ვაჟმა ის ვერც შეამჩნია და ძალიან ჩქარაც წავიდა; კლაუდია კი დარჩა ნაწყენი, გულმოკლული. აღარც ახალი კაბა ახარებდა და არც ასე კარგად დაწყებული ეს კვირადღე. მაგრამ გაიარა ერთმა კვირამ და როცა კლაუდიას თითქმის დაავიწყდა ეს შეხვედრა—უცბათ ტელეფონით რეკავს ფრანკო და ზღვაზე ეპატიჟება. იქ იქნება მისი საცოლე და მარიოც.

ო, ეს კვირადღე კლაუდიას არასოდეს დაავიწყდება, ეს დღე—შემდგარი ბევრი, ბევრი ბედნიერი წუთისაგან, რომლებიც ერთმანეთს მისდევდნენ, დაწყებული პირველი, მათი შეხვედრის პირველი წუთიდან და დამთავრებული საღამოთი, როცა ვაჟმა ის ჭიშკრამდე მიაცილა, კლაუდია კი იდგა, უყურებდა, როგორ მიდიოდა მარიო და არაფერზე არ ფიქრობდა.

ისინი გაიქცნენ, რომ ავტობუსისთვის მიესწროთ, რადგან ფრანკოს საცოლე სულ ბოლოს, უკანასკნელ წუთს გამოცხადდა. შემდეგში კლაუდია ველარც კი იხსენებდა ფრანკოს და მის საცოლეს. ის თითქმის ვერ ამჩნევდა მათ ყოფნას. აღარავინ არსებობდა მარიოს, მისი ხმის, მისი მიხვრა-მოხვრის გარდა, მისი სასაცილო ჩვეულების—მხოლოდ თვალებით გაღიმების გარდა, მისი თვალების გარდა, რომლებიც ისე ამშვიდებდნენ კლაუდიას. თითქოს ის და მარიო ძალიან დიდი, დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს. და სწორედ იმის წყალობით, რომ მისი თვალები ამ ღია გამოხედვას ხვდებოდა, კლაუდია სულაც არ მორცხვობდა. კლაუდია, მუდამ ასეთი თავდაჭერილი ყველასთან! მას გაახსენდა, როგორ ცხვენოდა და ეუხერხულებოდა გასახდელიდან გამოსვლა. მაგრამ მარიო ყოჩაღად მოიქცა—სრულებით არ შეუხედია მისთვის, მოჰკიდა ხელი და ორივენი ცხელ ქვიშაში, ზღვისკენ გაიქცნენ.

წყალი ცივი იყო. კლაუდიამ თითქმის არ იცოდა ცურვა და მარიო მუდამ გვერდით იყო—ალერსიანი და კარგი, როგორც ყოველთვის. შემდეგ ისინი მზეზე გაწვნენ. კლაუდიას უნდოდა, რომ არასოდეს დაღამებულიყო და ეს მარიოს უთხრა. ის ისეთი ბედნიერი იყო, რომ სიხარულით გადაიქცეოდა ქვიშად, ოღონდ სულ აქ წოლილიყო, ზღვასთან, და მზეზე ენებივრა.

შემდეგ—დაისი. ისინი უკანასკნელად შეცურდნენ ზღვაში და გაარღვიეს ოქროს ბილიკი, მზემ რომ გაიყოლა ზღვაში ვარდნისას. დაბრუნება და ქარი, ავტობუსის ფანჯრიდან შემოჭრილი, და კიდევ მარიოს ხელი მხარზე. კლაუდიას ისე კარგად ესმოდა მისი, რომ ლაპარაკი აღარ იყო საჭირო. რა საჭიროა სიტყვები, როცა ერთმანეთის გვერდით არიან. აი, ის ზის მის ახლოს, და მისი სიახლოვე კლაუდიას ისე ამშვიდებს, ისე არწმუნებს თავისთავში... მან იცის, რომ ახლა მარიოს ყველა ფიქრი მისი ფიქრიც იქნება. მან იცის, ჰო, იცის, რომ ისინი ბედნიერები იქნებიან.

ამ კვირადღის შემდე ხუთმა წელმა გაიარა. კლაუდია გასცქეროდა განვლილ დღეებს და გრძნობდა, როგორ შეიცვალა ყველაფერი.

ის პატარაობიდანვე შეეჩვია მარტოობას. ძმები არ ჰყავდა, მშობლები დღითიდღე სულ უფრო ბერდებოდნენ და ისე მოხდა, რომ კლაუდია სულ მარტო იყო თავისი ერთფეროვანი ფიქრებითა და ოცნებებით. ის ოცნებობდა მხოლოდ მუდამ კარგზე. უფრო ხშირად—საქმროზე, რომელიც ეხმარება მას, ესმის მისი, შეუძლია უწილადოს თავისი ძალღონის მცირე ნაწილი.

კლაუდია ოცნებობდა სიყვარულზე, სურდა სიყვარული და აი, შეხვდა მარიოს. სიყვარული დაეუფლა ქალიშვილს, მთელ მის არსებას და ისიც მიზებდა სიყვარულს მთელი თავისი უშუალობით და თავისი ოცდაორი წლის მგზნებარებით. კლაუდია სულ მთლიანად შეიცვალა თამამი და ამაყი გახდა. ამაყი თავისი თავით და ამ ჭაბუკით, რომელსაც უყვარს კლაუდია რომელიც შეირთავს მას. რა თქმა უნდა, მეგობრებმა შეამჩნიეს მისი სიხარული და საცინლად აიგდეს. „კლაუდიამ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი იპოვნაო“,—ამბობდნენ ისინი.

მაგრამ კლაუდია მათ ყურადღებას არ აქცევდა. ყველა-ყველა და მან კი კარგად იცოდა, რაც იპოვა. მან იპოვა მარიო, მარიო კი სიყვარულია და უმისოდ ცხოვრება კლაუდიას არ შეეძლო. პირველ ხანებში ის თითქოს სიზმარში იყო და ნამდვილად იღვიძებდა და ცოცხლობდა მხოლოდ შეხვედრების წუთებში. ისინი ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს კუთხეში, ქუჩაში, ნესტიან კაფეებში... ხოლო ზაფხულობით საათობით ისხდნენ სადმე ბაღში, ხეებქვეშ, სადაც ჰაერი სავსეა ჭრიჭინობლებისა და ბავშვების ხმებით. მარიო იღებდა მის ხელს, კლაუდია კი ჩასცქეროდა თვალებში და ისინი ჩურჩულებდნენ ჩუმად, ჩუმად, ერთმანეთს ანდობდნენ თავიანთ ოცნებებს, მომავლის გეგმებს და იმედებს.

— აი, ნახავ, კლაუდია, აი, ნახავ, რა მალე დავქორწინდებით,—ამბობდა ვაჟი.—მაღაზიაში მე ჯერ პატარა ხელფასს მაძლევენ, მაგრამ თანდათან მომიმატებენ. ჩვენ ყოველ

თვე შევძლებთ ცოტა ფული გადავდოთ, მერე ბინას ვიყიდით, შენ ნაკლებს იმუშავებ, ბავშვები წამოგვეზრდებიან...

...ფანჯრის იქით წვიმს. უცებ კლაუდია მიხვდა, რომ ცივ მინაზე შუბლმიბჯენილი, უკვე დიდიხანია უცქერის სველ ქუჩას. თურმე ტრამვაი გაჩერებულა, მთელი ქუჩა გაჭედილია მანქანებით, რომლებიც ერთად აძლევენ საყვირს, ვაგონშიც ყველა ერთად ლაპარაკობს, ბუზღუნებენ, ილანძღებიან.

— სულ ეს ამბავია! ყოველთვის ერთიდაიგივე ისტორია! აღარ დაადგა საშველი მოძრაობის მოწესრიგებას! კაცს გეჩქარება...

კლაუდია უკვე აღარ უსმენს. ის პალტოს საყელოს იწევს, უფრო მოხერხებულად ეწყობა და ფიქრს განაგრძობს...

„ჰო, ცხოვრება მართლაც გრძელია. მე კი უკვე დავიღალე. ოჰ, როგორ დავიღალე! აი, მინდა ვიჯდე და არასოდეს გამოვიდე ამ ტრამვაიდან წვიმაში, არ გავიწუწო თავიდან ფეხებამდე და არ ვნახო მარიო. როგორღა შევხედო მას ახლა? რა არ მივახალე გუშინ!..“

ეს კი ასე მოხდა: მარიომ მას მაღაზიაში მოაკითხა. კლაუდია ვაჟს არ ელოდა, დაღლილი იყო, გაბრაზებული, ცუდად შეხვდა, ძალდატანებით გაუღიმა.

— ა, გამარჯობა, მარიო! რა სასიამოვნო სურპრიზია!

— იცი, კლაუდია, რაღაც უნდა მოგიყვე. ჩემი პატრონი მიემგზავრება, აკი გეუბნებოდი. ჰოდა, აი, დღეს საღამოს მეძახის, სიგარეტს მთავაზობს და მერე მეუბნება, რომ მაღაზიას მე მიტოვებს მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ აქ არ იქნება. გესმის, კლაუდია, იქ ჩვენ რამდენი ვმუშაობთ, მან კი მე ამომარჩია! ესე იგი, მე უფრო მენდობა, ხომ მართალია? ჰოდა, მე იცი, რას ვიზამ? რომ დაბრუნდება, მივალ და ჯამაგირის მომატებას ვთხოვ! ავუხსნი, რომ ცოლის შერთვა მინდა, ერთ ხუთ წუთს წავიმუსაიფებთ და მორჩა. მომატება მზადაა. ეს ნაღდი საქმეა, აი, ნახავ, ნამდვილზე ნამდვილი. ფული გინდა ჯიბეში მდებია! ახლა კი დავქორწინდებით, არ უნდა ამას ლაპარაკი. ა? როგორი ამბავი მოგიტანე? კმაყოფილი ხარ?

სიტყვები თვითონ მოსწყდნენ ბაგეებს. მხოლოდ შემდეგ მიხვდა კლაუდია, თუ რა სთქვა.

— არა, მარიო. სულაც არა ვარ კმაყოფილი. ნუთუ შენ თვითონ ვერ ხედავ, როგორ მიდის ყველაფერი? მე ასე აღარ შემიძლია. უკვე რამდენი წელია ერთად ვართ, ჩვენი ქორწილის დღე კი ისევ ისე შორსაა, როგორც გაცნობის პირველ დღეს! მე ვიცი, შენ ვერ გამიგებ, შენ სულ გეჩვენება, რომ მე სისულელეს ვლაპარაკობ, რომ მე ცუდი ვარ. მე ვიცი— არც შენ ხარ დამნაშავე, რომ ფული არა გაქვს. მაგრამ მე უკვე დავიღალე ასეთი ცხოვრებისაგან, და-ვი-ღა-ლე! დავიღალე ყოველდღე სამუშაოზე სირბილისაგან, დავიღალე შენი ნაუცბათევი ნახვისაგან ქუჩაში ან ბარში... ჰო, კიდევ კინოში, დღესასწაულებზე. მე არ შემიძლია გულხელდაკრეფილი ვიჯდე და ველოდო, როდის დავბერდები. ვშიშობ, რომ ჩვენ ვერასოდეს დავქორწინდებით. აღარ შემიძლია ასე!..ვოცნებობთ, ვოცნებობთ და სინამდვილეში!.. მე დავიღალე, გესმის? ხედავ,



ყველა ჩემი მეგობარი გათხოვდა. ფრანკო და ანჯელა ჩვენზე ახალგაზრდები არიან და უკვე ბავშვს ელიან. ცხოვრება ხომ, მოხედვასაც ვერ მოასწრებ, ისე გაივლის. მე კი აღარც სიყვარული მწამს, აღარც არაფერი! აღარ მინდა ასეთი ცხოვრება!

დიდიხანია ეს სიტყვები კლაუდიას გულში უტრიალებდა. დიდიხანია ცხოვრებამ ხალისი დაჰკარგა და ოცნებები ფანტაზიად იქცა. რა თქმა უნდა, საკუთარი სახლი, ბავშვები, მუდამ მარიოსთან ყოფნა—ამას რა ჯობს... მაგრამ მას ეს ყველაფერი ახლავე სურს. არ შეუძლია, გესმით, არ შეუძლია მეტის მოცდა! მას ხომ ისე ეშინია სიბერის! არა სურს, რომ მისი სიყვარული ჯერ კიდევ ქორწინებამდე გადაიქცეს ჩვეულებად, არ უნდა, რომ მისი ქორწილი რაღაც აუცილებლად იქცეს, რაღაც ჩვეულებრივ ამბად, რაც ადრე თუ გვიან ხდება ყველა ქალის ცხოვრებაში. არა, მას ახლავე უნდა ჯვარი დაიწეროს, უნდა სიყვარულით გათხოვდეს, ვიდრე თავს ახალგაზრდად თვლის, ვიდრე ასე სურს სიცოცხლე და ბედნიერება.

ის, რაც მან გუშინ მარიოს უთხრა, ამ დაუსრულებელი ზამთრის, ფარული გაღიზიანების, უსიხარულო შეხვედრების ბრალი იყო, ამ უსასრულო ხეტიალისა თავისი კვარტალის ყველა ქუჩებში სიცივეში, წვიმაში. ჰო, ყველაფერი ეს ზამთარია, ზამთარი, რომლის ყოველ დღეს თან მიჰქონდა მისი სიხარულის ნაწილი.

ამიტომ, როცა მარიომ ჰკითხა, კმაყოფილია ის თუ არა, კლაუდიას აღარ შეეძლო თვალთმაქცობა და მან ყველაფერი თქვა, რასაც ამ გრძელი თვეების მანძილზე ფიქრობდა:

— აღარ მინდა ასეთი ცხოვრება!

და მაშინვე გაჩუმდა, ნათქვამის შეეშინდა. მარიო უძრავად იდგა მის წინ, ხელები ჯიბეებში ეწყო და დაჟინებით უცქეროდა, თითქოს კლაუდიას ლაპარაკი არც ესმოდა. მაგრამ არა, თვალები მას ნაღვლიანი აქვს, თუმც დუმს. რატომ, რატომ არ იტყვის არაფერს?

— მარიო, მიპასუხე, აბა, მითხარი რამე. მითხარი, რას ფიქრობ. მე ხომ არ მინდოდა შენი წყენინება.

— ამას არა აქვს მნიშვნელობა, კლაუდია, გინდა მაწყენინო, მერე რა. მე კი სხვანაირად ვფიქრობ. მე მთელი დღეები ვმუშაობ, ვმუშაობ, რომ ჩვენ დავქორწინდეთ, იმიტომ, რომ მიყვარხარ, ხომ იცი, რომ აი, როცა შენ დაგინახავ, სულერთია, სად, - ეს დღე ჩემთვის ყველაზე კარგია. ჰოდა, თუ წვიმს, არა უშავს, ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი! და რომ შესახვედრი ადგილიც არა გვაქვს, რომ სახლი არა გვაქვს, ესეც ხომ არაფერია. ჩვენც გვექნება სახლი, საკუთარი, ჩვენი. როგორ არ უნდა გვწამდეს ეს? თუ ეს არ ვიწამეთ, მაშინ ხომ ფუჭი ყოფილა ყველაფერი, ეს ჩვენი სიყვარულიც... აი, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ რისთვის? ჩვენი სიყვარული ხომ იმისთვისაა, რომ ყველა სიძნელე გადავლახოთ, რომ ერთად ვიყოთ. აი, შენ შესძელი აილო ეს, თუნდ სულ პატარა ნაწილი ბედნიერებისა, რომელიც ჩვენთვის მოაქვს ყოველ დღეს, ჰოდა, ცხოვრებაც გრძელი იქნება და არც შეგვეშინდება მისი... ჩვენ ხომ ახალგაზრდები ვართ და ერთმანეთი გვიყვარს!... აი, ასე ვფიქრობ მე, კლაუდია. მეტი რა გითხრა? რომ მე მომიმატებენ ჯამაგირს და დავქორწინდებით? მაგრამ რაღად გითხრა, თუ შენ, სულერთია, მაინც არ გჯერა?.. წამო, სახლამდე გაგაცილებ.

ისინი ჭიშკართან დაცილდნენ ერთმანეთს, დაცილდნენ და ერთმანეთს არ გაუღიმეს. მარიომ თქვა:

— გიცდი ხვალ რვაზე, სადაც ყოველთვის.

ხვალ რვაზე, სადაც ყოველთვის. კლაუდიამ საათს დახედა: ცხრის თხუთმეტი წუთია. დასწყევლოს ღმერთმა, როგორც ოდესღაც!

ტრამვაი, როგორც იქნა, დაიძრა. მძღოლმა ისევ დაიწყო ზარის რეკვა, ისევ ყურისწამღებად აკივლდნენ მოსახვევში ბორბლები, ფანჯრის იქით შეირხნენ, გაცურდნენ ლამპიონები. «მე შემდეგ გაჩერებაზე უნდა ჩავიდე,"— გაიფიქრა კლაუდიამ.

მარიო უკვე ელოდებოდა, როგორც ყოველთვის. ის ზურგით იდგა და რეკლამებს კითხულობდა. კლაუდია უყურებდა და ზუსტად წარმოიდგინა მისი თბილი გამოხედვა, შუბლზე მიკრული სველი თმა. მან გაუღიმა მარიოს, ადგილიდან წამოხტა და გასასვლელისკენ გაიქცა.

მარიოს ის არ დაუნახავს. კლაუდია იღიმებოდა, იდგა მის ზურგს უკან და უცქეროდა უძრავ მხრებს, რომლებზეც იმსხვრეოდა წვიმის ნაკადები. ის იღიმებოდა იმიტომ, რომ ბედნიერი იყო. არა, სულაც არაა მართალი, ვითომ კლაუდია დაიღალა. ტყუილია ეს ყველაფერი! მას უყვარს მარიო ისე, როგორც იქ, ზღვაზე, უყვარს ისევე, როგორც იმ პირველ კვირა დღეს. და მისი ქორწილიც, სულერთია, თუგინდ ასი წლის შემდეგ იყოს,—იქნება ყველაზე მშვენიერი დღე მის ცხოვრებაში, იმიტომ, რომ მარიო მასთანაა—აი, ის! ჰოდა, რა ბედენაა, თუ ისინი მხოლოდ საღამოობით ხვდებიან, როცა კლაუდია დაღლილია მუშაობისგან, მერე რა! ოღონდ ყოველდღე შეეძლოს მარიოს ნახვა, სულერთია როდის, თუნდაც ღამე! მარიო მართალს ამბობს, ჰო, ჰო, მათ ექნებათ საკუთარი სახლი, იმიტომ, რომ ახალგაზრდები არიან და უყვართ ერთმანეთი.

— მარიო!

მარიო სწრაფად შემობრუნდა.

— მარიო, მაპატიე, მე, უბრალოდ, სულელი გოგო ვიყავი!

მარიომ არ უპასუხა. შეხედა როგორც ყოველთვის, მხოლოდ თვალებით გაუღიმა და მხრებზე ხელი მოჰხვია. კლაუდიამ ქოლგა გაშალა და ისინი ნელა დაუყვნენ გზას, ერთად არჩევდნენ, რომელ ქუჩებზე ევლოთ, ერთმანეთს მიკრულები და ისევ ლაპარაკობდნენ თავის სიყვარულზე, იმაზე თუ როგორი სახლი ექნებათ, თავიანთ მომავალ ბავშვებზე. ისინი იგონებდნენ პირველ შეხვედრას, პირველ კვირას ზღვაზე და ერთად გატარებულ ყოველ ბედნიერ საათს. ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ წვიმს, რომ ხელები გაეთოშათ, ფეხები კი, უკვე დიდიხანია, მთლად დაუსველდათ. და რომ უკვე ძალიან გვიანაა. შემდეგ მარიომ მის ჭიშკრამდე მიაცილა, და კლაუდია იდგა იქ, უყურებდა, როგორ მიაბიჯებდა მარიო და არაფერზე არ ფიქრობდა.

თარგმნა **ნანული ბარათაშვილმა**

# ჩვენი ღირსეული ბუღალტერი

მისი შრომის წიგნაკში, სადაც მუშაობის შესახებ ცნობები აღინიშნება, მხოლოდ ერთი ჩანაწერია: «თამარ გიტოს ასული ჯ:ში დაინიშნოს სტამბის ბუღალტრად».

20 წლის წინათ დაიწერა ეს ბრძანება და ბუღალტრის მაგიდასთან ახლად ტექნიკუმდამთავრებული გოგონა დაჯდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა გაზეთ «სამგორის» სტამბაში, მრავალი თანამშრომელი წავიდა, ახლებიც მოვიდნენ, თამარი კი უცვლელად იქ არის.

— რომ იცოდეთ, რამდენი ტომი მაქვს დაწერილი, გინდათ წაგაკითხოთ?—ხუმრობს თამარი და მუყაოს ყდებში ლამაზად აკინძულ, თანატოლი ზომის წიგნებივით ჩამწკრივებულ საბუღალტრო საქმეებს გვიჩვენებს.—აი ამ «ტომში» პირველი კვარტალის ნამოღვაწარია, ამ თაროებზე—შარშანდელი, ამ კარადაში კი—რამოდენიმე წლის წინანდელი. ერთი სიტყვით, მოითხოვეთ რომელი «ტომიც» გსურთ!

და მართლაც, დიდი დრო არ დაგჭირდებათ, თუ გსურთ გაიცნოთ სტამბის ფინანსური მდგომარეობა.

შესრულებული სამუშაოების ანგარიშების დამზადება, შემკვეთებთან ფინანსიური ანგარიშსწორების მოწესრიგება, მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის დროულად დარიგება, სტამბის მომარაგება ნედლეულით და სხვა ბევრი რამაა ბუღალტერზე დამოკიდებული.

ბუღალტერია თანმიმდევრულ, ყოველდღიურ წარმოებას მოითხოვს და თამარიც დაუზარელია, არა სწყინდება ყოველდღე უთვალავი ციფრების წერა და კითხვა.

«ავია თუ კარგი, ბუღალტერი ძუნწიაო» —ხუმრობენ ხოლმე მუშები თამარის მისამართით.

საწერ მაგიდასთან თავდახრილი ზის, ხშირად იშველიებს საანგარიშო ჩოთქს, მისი საქმიანობა ფინანსებს შეეხება. სპეტაკი და კეთილსინდისიერი მუშაკი, კარგი, ძალიან კარგი ადამიანიცაა.

**მარიამ დელბაშიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ასეთი ახსოვთ იგი



მისი გამოჩენა სცენაზე დაუმცხრალ ოვაციას იწვევდა. ცეკვისას ნარნარად შლიდა ხელებს, ლერწამივით არხევდა კენარ ტანს და ნიავივით დასრიალებდა. რაღაც ანდამატური მიმზიდველობა ჰქონდა მის სიმღერას. მაინც სხვა დამსახურების გამო უფრო ახსოვთ თამარ ტარიელის ასული მაჭავარიანი-კოზმავა.

* * *

მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნეა. სოხუმიდან დაშორებით, დღევანდელი კელასურის რაიონში თავი მოეყარათ რევოლუციონერებს.

შენობა, სადაც არალეგალური კრება მიმდინარეობდა, მაღლობზე იდგა. გუშაგი ჭოგრიტით ზვერავდა მიდამოს. მან საკმაოდ შორი მანძილიდან შენიშნა პოლიციელები, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან მოიპარებოდნენ. ცნობას საფრთხის შესახებ პანიკა როდი გამოუწვევია. კრების მონაწილეებმა გულდასმით მოსინჯეს იარაღი. სწორედ ამ დროს საქმეში ოჯახის დიასახლისი ჩაერია. რამდენიმე წამში ყველა გადამალა, თვითონ კი კივილი მორთო. პოლიციელებმა ამის გაგონებაზე ნაბიჯს აუჩქარეს, მოურიდებლად შეიჭრნენ ოთახში, სადაც „მშობიარე" ქალი კვნესოდა. გარეთ დაღვრემილი დადიოდა ოჯახის უფროსი. პოლიციელები იქაურობას გაეცალნენ.

სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. ღამეა. თოვლჭყაპში ფრთხილად მიაბიჯებს ქალი მოზრდილი ხელჩანთით.

რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ამავე გზით ბრუნდება, ახლა ხელჩანთა ცარიელია და მსუბუქი. დილით კი მდიდრულად ჩაცმული გამოდის ქალაქის ქუჩებში, შორიდან ამოწმებს თავის ნამოქმედარს—გაკრულ პროკლამაციებს.

პოლიცია დაძრწის, დაეძებს დამნაშავეს, მაგრამ ამაოდ.

შუადღეა, სკოლიდან დაბრუნებული ბიჭუნა შინისკენ მიიჩქარის. «შემთხვევით» შემხვედრმა უცნობმა დეიდამ გააჩერა და კითხა: როგორ სწავლობს, ორიანები ხომ არ ჰყავს, ხომ არ ცელქობს, ბოლოს დედიკოსათვის გადასაცემად აძლევს ქაღალდის შეკვრას. რამდენიმე წუთის შემდეგ ბიჭიკო სახლშია, დედა ხსნის შეკვრას, რომელშიც პროკლამაციებია.

ქაღალდების ასეთი შეკვრა იმ დღეს ბევრმა მოსწავლემ მიიტანა სახლში.

* * *

ქალაქის ცენტრში, სახლის მეორე სართულის კიბეს აჰყვა ახალგაზრდა ქალი, რომელმაც გრძელი დერეფანი გაიარა და ზუსტად იმ კარების წინ შეჩერდა, ბოქლომით რომ იყო დაკეტილი. შემდეგ გვერდითი ოთახის კარზე დააკაკუნა. კაკუნზე მამაკაცი გამოვიდა.

— ბოდიში, თქვენი მეზობელი მინდოდა, ხომ ვერ მეტყვით, სად არის?

— ასეთ დროს ის ყოველთვის სამუშაოზეა.

— არ შეიძლება დაგავალოთ? რომ მოვა, აი ეს გადაეცით,—და ქალმა საკმაოდ სქელი პაკეტი გაუწოდა.

საღამოს მეზობელმა მეზობელს გადასცა პაკეტი. პაკეტში პროკლამაციები იყო.

* * *

მატარებელი მიქრის რუსეთის ველებზე. ვაგონის ერთ-ერთ კუპეში რამდენიმე მგზავრია. მათ შორისაა გემოვნებით ჩაცმული ქალი, რომელიც თავდაჭერით ხიბლავს გვერდით მყოფთ. რამდენიმე დღის შემდეგ იგი არხანგელსკშია. ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ქალი პოლიტიკურად არასაიმედო იყო. საკმაო ხანი დარჩა იგი არხანგელსკში. იქ გადასახლებაში მყოფ რევოლუციონერებს დაურიგა საქართველოდან გაგზავნილი წერილები და ლიტერატურა. რევოლუციონერების წერილებითვე დატვირთული დაბრუნდა სამშობლოში,

* * *

1918 წელი. რეპრესიები. უღღეური მენშევიკები უსწორდებიან რევოლუციონერებს. სოხუმში ერთ-ერთ არალეგალურ კრებაზე დააპატიმრეს კომუნისტების ჯგუფი. მეორე დღეს საპატიმროს კარებთან იდგა ქალი, რომელმაც მოახერხა რევოლუციონერებთან კავშირის დამყარება, დაპატიმრებულებმა გამოგზავნეს წერილი და შემოთვალეს: გუდაუთში შენახული იარაღი ვასილ აგრბასთვის გადაეცათ.

ს. და ვ. კუხალეიშვილები, ვ. კონჯარია, ვ. აგრბა, დ. დენიაგა, ე. დამენია, ი. ქვანია—აი ადამიანები, რომლებთანაც არის დაკავშირებული ამ უშიშარი ქალის ცხოვრება.

იმავე წელს ვ. კონჯარიას და რამდენიმე სხვა რევოლუციონერის დავალებით ქალს ბაქოში მიაქვს საიდუმლო წერილები სერგო ორჯონიკიძისათვის გადასაცემად. ეს იყო სერგოსთან პირველი შეხვედრა, რაც არასოდეს ამოიშლება თამარის მეხსიერებიდან. შემდეგში ასეთივე დავალებით ჩავიდა პეტროგრადში, სადაც უფრო ახლოს გაეცნო ორჯონიკიძეების ოჯახს.

სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილმა თამარ მაჭავარიანმა კოზმავამ უკან მოიტოვა ექვს ათეულზე მეტი წელი, მაგრამ მაინც მხნედ გრძნობს თავს, ბედნიერი ხვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

**ვ. ცანავა,**

**ვ. ციციშვილი**

სახრით ხელში წყაროსთან ზის გოგონა. გიშერივით თმები აყრია მხრებზე. დახეული კაბა ვერ უფარავს მუხლებს. შორს სივრცეს გასცქერის, ხან დაენისლება სახე, ხან გაუბრწყინდება.

მთიდან ვაჟი დაეშვა, წყაროსთან შედგა.

— ვერ ყოფილხარ კარგი მწყემსი, ასე თუ აძოვებ ძროხებს.

ქალიშვილი წამოდგა, წასვლა დააპირა. წინ გადაეღობა ვაჟი. სვანური ქუდი კოხტად გადაიგდო მხარზე და ქალს ხელი გაუწოდა:

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, აკაკი მქვია.

ქალს შერცხვა, ვაჟს გვერდი აუქცია და ყანაში შესულ ძროხებისკენ გაიქცა. ვაჟი დაედევნა. ისევ წყაროსთან დაბრუნდნენ. ქალს სირცხვილის ალი სწვავდა, ვაჟს—გაცნობის სურვილი.

— შენი სახელი?

ქალი დუმდა.

დაიძრა მანქანები, და განა მარტო სამეგრელოდან? რუსები, სომხები, რაჭველები, მეგრელები, სვანები ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ. აფხაზები სიხარულით შეხვდნენ ახალ მეზობლებს. გაიკაფა ეკალ-ბარდები. ტურების კივილი შესცვალა ტრაქტორების გუგუნმა. ჩარიგდნენ კოხტა ოდები. დააწყვეს გეგმები: აქ ჩაი გაშენდეს, იქ—ვენახი, აქ—თამბაქო, იქ კი—ბაღ-ბოსტანი.

შურამ და აკაკიმ თავისუფლად ამოისუნთქეს. საკუთარი კერა გაიჩინეს. კიდევ ბევრი ჰქონდათ გასაკეთებელი და... არ დასცალდათ.

... 1941 წელი. ომი.

აკაკი წავიდა ფრონტზე.

— არ შეგარცხვენო,—შეპირდა შურა.

დანაპირები კიდეც შეასრულა. დილიდან საღამომდე ფართობს არ შორდებოდა, ღამე კი მეზობელ ქალებთან ერთად თბილი წინდებისა და ხელთათმანების ქსოვაში ათენებდა.

# დანაპირები შესრულდა

— როგორ გიშვებს დედაშენი, რომ მოგიტაცონ, არ გეშინია?

— მშობლები არა მყავს,—როგორც იქნა გამოსცრა ქალმა.

— მეც ობოლი ვარ,—თქვა ვაჟმა.

ქალმა ახედა.

— საიდან?

— ლეჩხუმიდან.

ისევ დუმილი.

— ის მაინც მითხარ, ბინა სადა გაქვს?—შეეკითხა ვაჟი.

— ბინა? დედინაცვალთან...

— და-ძმა არა გყავს?

— სად არიან, არ ვიცი. როცა დედა გარდაიცვალა, სამნი დავრჩით. მამამ სახლი გაყიდა და ზედსიძედ შევიდა. მე ყველაზე პატარა ვიყავი და წამომიყვანა. ძმები არ წამოყვნენ, ზოგი სად წავიდა, ზოგი სად. მამა დარდს გადაჰყვა.

წამწამებს ცრემლი დაეკიდა. ვაჟმა თვითონაც არ იცოდა რად, მკლავები გაშალა, ალბათ, უნდოდა, წაეყვანა ქალიშვილი შორს, შორს... ვერ გაბედა, მხოლოდ უთხრა:—წამოდი ჩემთან. ქვეყანა დიდია. მე ვიქნები შენი მეგობარი...

ერთხელ, გვიან ღამით, ჰაერი გაკვეთა ცხენების თქარათქურმა და მაყრულმა.

დედინაცვალმა თავი შორს დაიჭირა:

— მე ამის მეტი არავინ გამაჩნია, ვერ გაგატანთ, გნებავთ ზედსიძედ მობრძანდით.

აკაკის მოაგონდა ძველი ანდაზა: «ჩასიძებულ კაცს გატყავებული მელია სჯობიაო», მაგრამ ვერ დასთმო შურა.

მალე ხმა დაირხა: გუდაუთის რაიონში, შავი ზღვის სანაპიროზე ახალი სოფელი შენდებაო. მსურველი ბევრი აღმოჩნდა. აკაკი პირველი იყო მათ შორის.

ასე გავიდა წლები. მოძალდა ძოსავალი. 140 ჰექტარი ვაზი: ცოლიკაური, ჩხავერი; 80 ჰექტარი ხეხილი: ტოტებდახუნძლული ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ხურმა; 25 ჰექტარი ჩაი; 50 ჰექტარი ბოსტანი. გაკაჟდნენ ქალები, შურა მოწინავე გახდა.

ჩამოვა და გაიხარებს აკაკი...

ვერ ჩამოვიდა, ვერ გაახარა ცოლ-შვილი...

«მეტი ბოსტნეული სამშობლოს!»

და შურა ჩაკვეტაძე მებოსტნეთა რგოლს ჩაუდგა სათავეში.

ტანია არზადინი გამოიწვია შეჯიბრებაში.

ორივენი ხელჩაკიდებულნი იბრძვიან ერთი საქმისათვის. გამართეს 500 ჩარჩო. კვალსათბურში გამოყავთ ნერგი. შურა თავს დასტრიალებს სანერგეს, აფრთხილებს რგოლის წევრებს: 20-25-ჯერ მორწყვა უნდა, 3-4-ჯერ გამარგვლა, 2-ჯერ შეწამვლა. პარალელურად ამისა, მოხნულ ნიადაგს ამზადებენ, ნარჩენებისაგან ასუფთავებენ, შეაქვთ მინერალური სასუქი, შემდეგ ნიადაგს ფარცხავენ და მარტის პირველ რიცხვებში იწყება თესვა, გადარგვა.

... და კიდევ რა არ მოჰყავს ქალებს: კომბოსტო, კიტრი, ხახვი, საზამთრო, სტაფილო, სუფრის ჭარხალი. გასულ წელს 90 ტონის ნაცვლად 110 ტონა ბოსტნეული ჩააბარეს. წელს კი 100 ტონის ნაცვლად 200 ტონას ვარაუდობენ.

შრომაში ბაძავენ შურა ჩაკვეტაძეს. შრომადღეებში 4 ათასი მანეთი ფულად და სამნახევარი ტონა სიმინდი მიიღო. შურა 45 წლისაც არ არის და სამი შვილიშვილის ბებიაა. ოჯახის უფროსობა სიძეს და ქალიშვილს გადაულოცა, თვითონ კი... განა ცოტა აქვს საქმე? ახალსოფლის არსებობის 20 წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს ახალი გამარჯვებით უნდა შეხვდეს,

**ოლია გაბუნია**

# საინტერესო თემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

8576

## დრომოჭმული ჩვევები

ყველასათვის ცნობილია, რომ ქალები თავიანთ ტანსაცმელს შესაკრავ ღილებს მარცხენა მხარეს აკერებენ, მამაკაცები კი — მარჯვნივ. რით არის ეს გამოწვეული და აუცილებელია თუ არა ამ ტრადიციას დღესაც მივდიოთ?

ამ დღეისათვის მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გაეცეს: ჩვენს სინამდვილეში ეს არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, ძველად კი ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მამაკაცს არსებობისათვის ბრძოლა უხდებოდა მტერთან თუ ნადირთან და ამისათვის მას მარჯვენა ხელში მეტწილად იარაღი ეჭირა, თავისუფალი მარცხენა ხელით კი საქმიანობდა. ამ საქმიანობაში ტანსაცმლის შეკვრაც შედიოდა. ქალებს, პირიქით, მარცხენა ხელში ბავშვი ეჭირათ, მარჯვენა ხელით კი საქმიანობდნენ. და ტანსაცმლის შეკვრის ეს ძველი ჩვევები დღემდე შემოგვრჩა.





## ქოლგის ისტორიიდან

ქოლგას ადამიანები უძველესი დროიდან ხმარობენ. ასირიელებისათვის ქოლგა თითქმის 4 ათასი წლის წინ იყო ცნობილი. ეს დაადასტურა მოგზაურ ლაიარდის მიერ ასირიის ძველი დედაქალაქის — ნინევიის ნანგრევებში აღმოჩენილმა ბარელიეფებმა, რომლებზეც გამოსახული იყო მეფის უკან ქოლგებით ხელში მდგომი მონები.

ქოლგებს ხმარობდნენ აგრეთვე ეგვიპტელები და სპარსელები, მაგრამ ქოლგის სამშობლოდ მაინც ჩინეთი და იაპონია ითვლება.

თავდაპირველად ქოლგა გამოიყენებოდა, როგორც მზისაგან თავდასაცავი საშუალება. იგი დიდ როლს თამაშობდა ინდოეთისა და ჩინეთის ცხოვრებაში. ბირმის მეფე „თეთრ სპილოთა და 24 თეთრი ქოლგის ხელმწიფის" ტიტულს ატარებდა. მის არც ერთ ქვეშევრდომს არ ჰქონდა ქოლგის ტარების უფლება. პრინცების ხარისხი განისაზღვრებოდა იმით, თუ რამდენი ქოლგა ჰქონდა თვითეულ მათგანს.

ჩინელი ისევე განუყრელი იყო ქოლგასთან, როგორც მარაოსთან. იმპერატორს სეირნობის დროს მზის სხივებისაგან იცავდა უამრავი ქოლგა. ცეილონში ქოლგის მაგივრობას პალმის შტოები ეწეოდა.

კაფრები პალმის შტოებს ბამბუკის ჯოხებს უკეთებდნენ და ასე არიდებდნენ თავს მზეს. ტომის თვითეულ ბელადს თავისი ქოლგის დამტარებელი ჰყავდა და ვაი იმ დამტარებელს, თუ ბელადს მზის სხივი დაეცემოდა: ასეთი დაუდევრობის გამო მას სასტიკად სჯიდნენ, ზოგჯერ სიკვდილითაც კი.

ქოლგა თურქეთში, უპირველეს ყოვლისა, სულთანსა და წარჩინებულებს ჰქონდათ დასაკუთრებული.

ძველი აღმოსავლეთიდან ქოლგა ჯერ საბერძნეთში გავრცელდა, შემდეგ კი რომში. აქ ქალების გარდა ქოლგებს ატარებდნენ განებივრებული მამაკაცებიც.

შუა საუკუნეებში დასავლეთი ევროპა ქოლგას არ იცნობდა. მისი ხმარება ევროპის ქვეყნებში 1756 წელს დაიწყეს. პირველად ის ინგლისში გავრცელებულა. ეს ასე მომხდარა: მოგზაურმა იოჰანს ჰენვეიმ აღმოსავლეთში მოგზაურობისას ნახა ქოლგა, და გადასწყვიტა გაევრცელებინა ის თავის სამშობლოში ინგლისში — წვიმისა და ნისლის სამეფოში. ლონდონში ჩამოსვლის (1750 წ.) შემდეგ ის პირველივე წვიმიან დღეს შეიარაღდა ქოლგით და ქუჩაში გამოვიდა. ხალხმა „უცხო ეგზემპლარი" მასხარად აიგდო და ქვები დაუშინა.

პირველმა ქოლგამ ინგლისში მარცხი განიცადა, მაგრამ არ გასულა დიდი დრო და ლონდონის ქუჩები ქოლგებით აივსო.

აქედან კი ქოლგა მთელს ევროპას მოედო.

მე-18 საუკუნის დასასრულს ქოლგა ფუ ფუნების საგანი გახდა. მაშინდელ ქოლგას ზედაპირი სამნახევარი მეტრი ჰქონდა, ძალიან მძიმე იყო და 45—60 ლივრი ღირდა. ქოლგები მზადდებოდა ტყავისაგან, მუშამბისაგან, ზეთში გაჟღენთილი აბრეშუმის ქსოვილის ან გალაქული ქაღალდისაგან. მისი შეძენა ყველას არ შეეძლო. ზოგიერთ შეძლებულ ოჯახში ერთი ქოლგა ინახებოდა და მემკვიდრეობით გადადიოდა.

ინგლისის დედოფალი ატარებდა უძვირფასეს ქოლგას, რომლის მსგავსი არცერთ მანდილოსანს ხელში არ სჭერია. ეს ქოლგა გააკეთა უმდიდრესმა ოსტ-ინდოეთის კომპანიამ. მას ჰქონდა შესანიშნავი ფიგურებიანი აბრეშუმის სახურავი, სპილოს ძვლის სახელური, უამრავი ბრილიანტითა და სხვა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი. ამ ქოლგას დედოფალი ყველაზე საზეიმო დღეებში ხმარობდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ქოლგის სახურავი მცირდება. მისი პირი მზადდება უფრო ლამაზი და მსუბუქი ქსოვილისაგან: ვარდისფერი, ცისფერი, ყვითელი, ღია მწვანე ან ჭრელი თავთისაგან. ანტიური, მოუხერხებელი ჯოხი დამოკლდა და სახელურთან მოიღუნა.

1830 წელს ქოლგა ძალიან პოპულარული იყო პარიზში. მისი წონა განახევრდა და საგრძნობლადაც გაიაფდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ქოლგებს დიდი რაოდენობით ამზადებენ ფაბრიკები, კეთდება მინიატურული ქოლგები სპილოს ძვლის სახელურით და სხვა.

ის ელეგანტურობა, რომელიც ამჟამად ქოლგას ახლავს, მან მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში მიიღო.



# ჩვენი საოჯახო კლუბი

## რაქიტი და მასთან ბრძოლა

რაქიტი ადრეული ასაკის ბავშვთა დაავადებაა. ის ხელშემწყობ ნიადაგს წარმოადგენს ყოველგვარი, განსაკუთრებით კი ინფექციური დაავადებისათვის.

რაქიტის დროს ადგილი აქვს მინერალური ცვლის დარღვევას: აღარ ხდება ფოსფორისა და კალციუმის მარილების შეთვისება და ძვლებში მათი დალაგება. ამის გამო ძვლები რბილდება, ადვილად ილუნება და მახინჯდება. ნივთიერებათა ცვლის ეს მოშლა გავლენას ახდენს კუნთებზე, შინაგან ორგანოებზე, ნერვულ სისტემაზე და იწვევს ორგანიზმის ზოგად დაავადებას.

რაქიტი გამოწვეულია ორგანიზმში ვიტამინ Д-ს ნაკლებობით. ვიტამინი Д წარმოიშობა ადამიანის კანში არსებულ ნივთიერებაზე—ერგოსტერინზე მზის სხივების უშუალო ზემოქმედებით.

თუ ბავშვი ადრე გაზაფხულზე არის დაბადებული და ქალის რძით იკვებება, მითუმეტეს, თუ ქალი ორსულობის უკანასკნელ თვეებში საკმაო რაოდენობით ღებულობდა ვიტამინ Д-ს შემცველ პროდუქტებს, როგორიცა: კარაქი, კვერცხი, ხიზილალა, თევზის ქონი, ზოგიერთი ხილი: წითელი ხურმა, ფორთოხალი, მანდარინი და ბოსტნეული (პამიდორი, სტაფილო და სხვა) ან იღებდა ვიტამინ Д-ს წამლის სახით, თუ ის ხშირად იყო ჰაერზე და მზეზე,—მაშინ ბავშვს რაქიტი არ ექნება, ან შეიძლება განუვითარდეს ძლიერ მსუბუქი ფორმით.

თუ ბავშვი გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში დაიბადა, ხოლო ორსულობის პერიოდში დედა იშვიათად იყო სუფთა ჰაერზე და მზეზე და დაბადების შემდეგ არც ბავშვი გამოჰყავთ ჰაერზე (ისედაც წლის ამ პერიოდში მზის სხივები საერთოდ ნაკლებია). ამასთან ერთად თუ საკვებშიც მცირე რაოდენობით გამოიყენება ვიტამინ Д-ს შემცველი პროდუქტები და ეს ვიტამინი არც ხელოვნურად მიეცემა, ბავშვი უსათუოდ დაავადდება რაქიტით.

რაქიტის გამოვლინება უცებ არ ხდება, ამას განსაზღვრული დრო სჭირდება. რაქიტის ნიშნები თანდათან ჩნდება და, სამწუხაროდ, ხშირად მშობლები მას ვერ ამჩნევენ. გართულებული დაავადება კი უფრო ძნელი განსაკურნავია.

ძვლების დამახინჯება—ბრტყელი და არასწორი ფორმის თავი, შუბლის ბორცვები, ჩავარდნილი ან ამოწეული მკერდის ძვალი, გვერდებშეწეული გულმკერდი, მუხლებში გამოღუნული ან შედრეკილი ფეხები, კუნთების მოდუნება (დიდი მუცელი), სახსრების მოშვება (ბავშვს ფეხის ცერები პირთან მიაქვს) და სხვა—ეს უკვე შორს წასული და მძიმე რაქიტის მომასწავებელია. ამიტომ საჭიროა დროულად იქნეს მიღებული რაქიტის საწინაალმდეგო პროფილაქტიკური ზომები. დაავადების ადრეული ნიშნების გამომჟღავნება საშუალებას გვაძლევს დროულად და აქტიურად ჩავატაროთ მკურნალობა.

როცა მანამდე სრულიად ჯანმრთელი და მშვიდი ბავშვი იწყებს ჭირვეულობას, ცუდად სძინავს, ხშირად ატრიალებს თავს, ოფლიანდება, განსაკუთრებით ძილის დროს, ეს უკვე რაქიტის პირველი ნიშნებია.

ასეთ შემთხვევაში ბავშვს უნდა დაენიშნოს გარკვეული მკურნალობა: ვიტამინი Д სამკურნალო დოზებით, კვარცით დასხივება, Д ვიტამინით მდიდარი საკვები და კალციუმქლორის 10-პროცენტიანი ხსნარი. ბავშვი ხშირად უნდა გავიყვანოთ ჰაერზე და თუ ის ძუძუს წოვს, მაშინ დედასაც უნდა მიეცეს ვიტამინ Д-ით მდიდარი საკვები.

რაქიტთან ბრძოლის საქმეში დიეტურ და მედიკამენტურ მკურნალობასთან ერთად დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ჰაერს, მზის და წყლის აბაზანებს. რაქიტის დასაძლევად საჭიროა ყველა დანიშნულების ზუსტად და რეგულარულად შესრულება.

არსებობს ეგრეთწოდებული თანდაყოლილი რაქიტი—ახალშობილს დაბადებიდანვე ემჩნევა რაქიტის ნიშნები. ამის თავიდან ასაცილებლად ქალმა ორსულობის მერვე თვიდან უნდა მიიღოს ვიტამინი Д დღეში 1 ან 2 ათასი საერთაშორისო ერთეული და თვითონ თუ შემდეგ ის ბავშვს ძუძუს მისცემს მშობიარობიდან 3-5 თვის განმავლობაში უნდა განაგრძოს ამ ვიტამინის მიღება.

ახალშობილს Д ვიტამინი მიეცემა დაბადებიდან 10 დღის შემდეგ 5-6 თვის ასაკამდე (გარდა გაზაფხულ-ზაფხულისა) ყოველ დღე 1 ათასი ერთეულის რაოდენობით, ხოლო თუ ბავშვი ხელოვნურად იკვებება, მაშინ მიეცემა დღეში 2 ათას ერთეულამდე. ბავშვს, შერეულ ან ხელოვნურ კვებაზე გადაყვანისას, გარდა Д ვიტამინისა, უნდა მიეცეს მოხარშული კვერცხის გულის 1/4 ნაწილი რძეში ან სხვა საკვებში გალესილი. 5-6 თვის ასაკიდან კვერცხის გულის რაოდენობა შეიძლება გადიდდეს ნახევრამდე, ხოლო 1 წლის ასაკიდან მთლიანი კვერცხი მიეცემა.

ბავშვის ფაფა ჯერ ბოსტნეულის ნახარშზე უნდა მოიხარშოს (1 ცალი კარტოფილი, 1 ხახვი და 1 სტაფილო მოიხარშოს 1 ჩაის ჭიქა წყალში, გაიწუროს და ამ ნახარშში გაკეთდეს ფაფა) და მხოლოდ შემდეგ დაესხას რძე.

დროული და სისტემატური მკურნალობა ააცდენს ბავშვს რაქიტს და მისი ჯანმრთელობის საწინდარი გახდება.

**ე. გერი-მახარაძისა,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

კულინარიის კუთხე

## ხორცის დამუშავება

შესაწვავ ხორცს მარილი შეწვის წინ უნდა წაესვას. წინააღმდეგ შემთხვევაში მარილი ხორციდან მთელ წვენს გამოსწოვს და ხორცი მშრალი, მაგარი და წითელი ფერის გამოვა.

შესაწვავად განკუთვნილი ხორცის დიდი ნაჭერი ჯერ უნდა გაირეცხოს და შემდეგ შემშრალდეს სუფთა ჭურჭლის ტილოთი. თუ ხორცი ტაფაზე შეუმშრალებელი, სველი მოთავსდა, ის დიდი რაოდენობით დაკარგავს წვენს და კერძი უგემური გამოვა.



მთლიანად შემწვარი ძროხის ხორცის დიდი ნაჭერი რომ უფრო წვნიანი გამოვიდეს, ამისთვის ის ჯერ ცოტა ცხიმწასმულ ტაფაზე უნდა შეიწვას ისე, რომ მის ზედაპირზე წარმოიქმნას მოწითალო ქერქი, რომელიც აბრკოლებს მისგან წვენის გამოყოფას. ასე შემწვარი ხორცი შემდეგ ღუმელში მოთავსდება შეწვის დასასრულებლად.

ხბოს, ცხვრისა და ღორის ხორცის მთლიანად შეწვა პირდაპირ ღუმელშიც შეიძლება, წინასწარ შეუწვავად.

შეწვის პროცესში ხორცს ხანგამოშვებით ზემოდან უნდა მოესხას მისივე წვენი და ცხიმი რომელიც ჭურჭლის ფსკერზე გამოიყოფა. თუ წვენი და ცხიმი ცოტაა, მაშინ უნდა დაემატოს რამდენიმე სუფრის კოვზი ბულიონი ან მდუღარე წყალი.

ხორცი შესაწვავად მხოლოდ ძალიან გაცხელებულ, ცხიმიან ტაფაზე (ან გვერდებიან თუნუქის ცხელ ფურცლებზე) უნდა მოვათავსოთ, რომ ქერქი მაშინვე გაიკეთოს, წვენი არ დაკარგოს და მოხარშულის გემო არ მიეცეს.

საულუფე და, განსაკუთრებით, მცირე ნაჭრებად დაყოფილი ხორცი არ შეიძლება უცბათ დიდი რაოდენობით, მჭიდროდ მოვათავსოთ ტაფაზე. თორემ ცხიმი და ჭურჭელი, რომელზეც ხორცი იწვება, შეგრილდება, ქერქი ხორცის ზედაპირზე გვიან წარმოიქმნება და მისგან დიდი რაოდენობით გამოიყოფა წვენი.

საულუფე ნაჭრის შეწვისას ჭურჭელს თავსახური არ უნდა დახუროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ორთქლი ხორცზე დაილექება და ხორცს, შემწვრის მაგიერ, დაბულულის გემო მიეცემა.

დ ა ს ა კ ე პ ა დ გამოიყენება ძროხის, ღორის, ცხვრის და ხბოს ხორცის რბილი ნაწილები (გარდა ფეხებისა). ერთი შენიშვნით: ცხვრის ხორცს ძალიან იშვიათად იყენებენ საკატლეტედ. ტეფტელი, რულეტი, ზრაზი, შნიცელი მზადდება უმთავრესად ძროხის ხორცისაგან.

დასაკეპად განკუთვნილი ხორცი წინასწარ აუცილებლად უნდა გაირეცხოს, გასუფთავდეს ძარღვებისაგან, დაიჭრას მცირე ნაჭრებად და მერე გატარდეს ხორცსაკეპ მანქანაში.

დაკეპილ ხორცს დაუმატეთ რძეში ან წყალში დამბალი პური და ხახვი. თუ გსურთ—ნიორი, უმი კარტოფილი და ოხრახუში (გემოვნების მიხედვით). ეს ყველაფერი კარგად აურიეთ, ხელმეორედ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, შეაზავეთ მარილით, დანაყილი პილპილით, სურვილისამებრ—ათქვეფილი უმი კვერცხით და კარგად აზილეთ. დაზელვისაგან საკატლეტე მასა უფრო ერთგვაროვანი გახდება და შეწვის შემდეგ კატლეტი გაფუებული გამოვა. მაგრამ საკატლეტე მასის დიდხანს ზელვაც არ ვარგა: ცხიმი გამოიყოფა და პროდუქტის გემო გაუარესდება.

როცა საკატლეტედ მჭლე ხორცს ვიყენებთ, მას უსათუოდ უნდა დაემატოს შიგნეულის ქონი (ხორცის წონის 5 პროცენტამდე).

თუ საკატლეტე მასა ძალიან სქელია (ასე ხდება, როცა ხორცი ბებერი საქონლისაა), მას ზელვის დროს უნდა დაემატოს რძე ან წყალი.

კატლეტის გემო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასში ხორცისა და პურის თანაფარდობაზე. დადგენილია, რომ ყველაზე კარგი გამოდის ნაწარმი, თუ პური მასში



შეადგენს 25 პროცენტს ხორცის წონასთან შეფარდებით (რბილი ხორცი 1 კგ, თეთრი პური 250 გრ). თუ საკატლეტე მასაში ნორმაზე ნაკლები პური ურევია, მაშინ ნაწარმი გამოვა მშრალი, მკვრივი და მას გემო და სუნი მოხარშული ხორცისა ექნება. ზედმეტი რაოდენობით პურის შერევისას ნაწარმი წებვადი ხდება და მკაფიოდ გამოხატული პურის გემო ეძლევა.

საკატლეტე მასის მოსამზადებლად უნდა ვიხმაროთ გამომშრალი, უქერქო, პირველი ხარისხის პური, ვინაიდან ახალი პური ცუდად შთანთქავს წყალს. თბილი და რბილი პური საკატლეტე ნაწარმს წებვად კონსისტენციას აძლევს.

რძე ან წყალი აუცილებელია საკატლეტე მასისათვის სათანადო სისქის მისაცემად. მისი ნორმა იქნება ხორცის წონის დაახლოებით 30 პროცენტი.

წყალში ან რძეში დამბალი პური გაუწურავად აირევა დაკეპილ ხორცში.

საკატლეტე პროდუქტების ნორმაა: რბილი ხორცი—1 კგ, გამომშრალი თეთრი პური—250 გრ, რძე ან წყალი 3/4 ჩაის ჭიქა, პილპილი, მარილი, ხახვი—გემოვნების მიხედვით. ხორცის, პურისა და წყლის აღნიშნული თანაფარდობა ითვლება საუკეთესოდ და მისგან მიიღება უმაღლესი ხარისხის საკატლეტე მასა.

**თამარ ხულაძველიძე**

## ვპასუხობთ მკითხველებს

**დიასახლისები ნ. ხაბაზაძე, ლ. ალიბეგაშვილი, ქ. ორჯონიკიძე (ქ. ხაშური) გვეკითხებიან: როგორ დავუბრუნოთ პირვანდელი ფორმა მერინოსის ან შალის ნაწარმს, რომელიც გარეცხვის შემდეგ შეიკუმშა და დაპატარავდა?**

**როგორ მოვაცილოთ მელნის ლაქა მუშამბას (კლიონკას)?—გვეკითხება დიასახლისი ნინო ჭოხონელიძე (ქ. ქუთაისი).**

მერინოსის ან შალის ნაწარმი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გარეცხოთ ძალიან ცხელ წყალში, სოდითა და ტუტოვანი საპნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეითელება და საგრძნობლად მოიკლებს სიგრძე-სიგანეში. ეს ქსოვილები ისეთი საპნის ქაფში უნდა გარეცხოთ, რომელიც ტუტეს არ შეიცავს, ან შეიცავს ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით (სარეცხის საპონი, მაგალითად, ძალიან ბევრ ტუტეს შეიცავს და მისი ხმარება ასეთი ქსოვილების გასარეცხად ყოვლად დაუშვებელია).

მერინოსისა და შალის ქსოვილების გასარეცხად რეკომენდებულია საპნის ბურბუშელისა და ფხვნილ „ნოვოსტის" ხმარება. ხამი წყლის დასარბილებლად ჩააწვეთეთ მასში რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი.

კარგად აქაფებულ ნელთბილ წყალში ჩადეთ მშრალი შალისა და მერინოსის ნაწარმი. გააჩერეთ შიგ ერთი საათი, ერთხელ ამორეცხეთ, ასევე ფრთხილად გაწურეთ ხელის გულებს შუა, ოდნავ გაჭიმეთ სიგრძეზე და სიგანეზე. გასაშრობად ხის საკიდზე დაკიდეთ. უმჯობესია შეახვიოთ სუფთა ზეწარში და ისე გააშროთ.

მუქი ფერის შალეული შეგიძლიათ ამორეცხოთ მდოგვის ფხვნილგარეულ ნელთბილ წყალში, გაავლოთ ნიშადურჩაწვეთებულ წყალში და გააშროთ ისე, როგორც ზემოთ არის ნათქვამი.

თუ არასწორი გარეცხვის შემდეგ მერინოსის ან შალის ნაწარმი შეიკუმშა და დაპატარავდა, ხელახლა დაასველეთ ის ნელთბილ წყალში, გაწურეთ, მხოლოდ ოდნავ, გაჭიმეთ უფრო სიგრძეზე, ვიდრე განზე, შეახვიეთ სუფთა ზეწარში, ჯერ კიდევ ნამიანი დააუთოვეთ უკუღმა პირიდან, თან გაჭიმეთ სწორი მიმართულებით. თუ ის ბეწვიანია, დაუთოების შემდეგ წაღმა პირიდან აუვარცხნეთ ბეწვები სავარცხლით. ასე ის ნაწილობრივ მაინც დაიბრუნებს პირვანდელ სახეს.

მელნის ლაქა თეთრი მუშამბიდან შეგიძლიათ ამოწმინდოთ ლიმონის წვენში დასველებული ბამბით. ბამბა რამდენჯერმე უნდა გამოცვალოთ.

მოძველებული მელნის ლაქა ფერადი მუშამბიდან შეგიძლიათ ამოიღოთ გლიცერინისა და სპირტის ნარევით (2 ჩაის კოვზ გლიცერინზე 5 ჩაის კოვზი სპირტი).

მელნის ლაქა მუშამბას ან ლინოლეუმს კიდევ ასე მოაცილეთ: წაუსვით საპნის ფაფა და ამოწმინდეთ პემზით, შემდეგ გადაუსვით სელის ზეთში დასველებული ბამბა.

ახლად დამჩნეული მელნის ლაქა შეგიძლიათ მოწმინდოთ ნიშადურის სპირტით ან სოდიანი წყლით.

მუშამბა კარგად შეგენახებათ, თუ მას ხანგამოშვებით გაწმენდთ წყალნარევი უმი რძით.

მოძველებული მუშამბის გასაახლებლად აიღეთ 1 სუფრის კოვზი გახეხილი პარაფინი და 4 სუფრის კოვზი ბელეკონი. გაადნეთ მდუღარე წყალში ჩადგმულ ჭურჭელში, მერე ამ მასაში ამოავლეთ რბილი ქსოვილი და გადაუსვით მუშამბას. მეორე დღეს ააპრიალეთ ფანელის ან შალის ნაჭრით.

**ნინო ხოფერია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყურადღება მიაქციეთ თქვენს გარეგნობას





„თქვენ გსურთ იყოთ ლამაზი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით—მუდამ კოხტა, ლაზათიანად ჩაცმული. მერე და რა არის ამისთვის საჭირო? მხოლოდ სურვილი.

და კიდევ ნებისყოფა.

დიახ, დიახ, ნებისყოფა! თქვენ როგორღა ფიქრობთ?“—

ასე მიმართავს ფრანგული ჟურნალი „ერკლერი“ თავის მკითხველებს და მახვილგონიერი ფორმით—ანკეტის სახით თავაზობს რამდენიმე რჩევას.

### თქვენ სასიამოვნოდ გამოიყურებით, თუ:

ტანს ყოველდღე იბანთ ან წყლით იზელთ.

ოფლიანობის დროს ხმარობთ ოფლის საწინააღმდეგო საშუალებებს.

დილა-საღამოს იწმენდთ კბილებს და თვალყურს ადევნებთ, რომ არ დაგიზიანდეთ.



თქვენი ხელები და ფრჩხილები მუდამ მოვლილია, ამისათვის კი საკმარისია გქონდეთ ხელის კრემი და ქლიბი ფრჩხილებისათვის.

არ ისვამთ ფრჩხილებზე მუქ ლაქს. თუ დრო არა გაქვთ სისტემატურად მოუაროთ ფრჩხილებს, იხმარეთ თეთრი ლაქი, მას ნაკაწრები ნაკლებად ეტყობა. უკეთესია, თუ ლაქს სულაც არ წაისვამთ.

ქამარს (ბანდაჟს) ირეცხავთ კვირაში ერთხელ, ბიუსჰგალტერს კი—კვირაში ორჯერ.



### თქვენ მუდამ კოხტა იქნებით, თუ:

თქვენს ბლუზას და ნაქსოვ კოფთას კრიალი გააქვს.

ბრძოლას უცხადებთ ტანსაცმელზე დამჩნეულ ყოველ ლაქას.

მაშინვე ამოკერავთ პალტოს ან კაბის ჩამორღვეულ ქობას.

ყოველთვის პოულობთ დროს იმისათვის, რომ დროულად მიაკეროთ შესაკრავი თქვენს ქვედატანს და არ დაიბნევთ მას ინგლისური ქინძისთავით.

ყურადღებას მიაქცევთ, რომ წინდის ნაკერი არ იყოს მოღრეცილი.



მარქაფში ყოველთვის გაქვთ ერთი წყვილი წინდა, რომ მაშინვე გამოიცვალოთ, როცა ძველზე თვალი წაგივათ.

ფეხსაცმელი ყოველთვის გაწმენდილი გაქვთ.

ყურადღებას აქცევთ, რომ ფეხსაცმელს ქუსლები არ მოექცეს.

თქვენს ცხვირსახოცს ქათქათი გაუდის.

თქვენი ხელჩანთა არა ჰგავს მეძველმანის ტომარას.

თქვენი ხელთათმანები გარღვეული არ არის თითებთან. ნაკერი შეიძლება ადვილად გაირღვეს, მაგრამ ხომ შეიძლება დროულად ადვილადვე გაიკეროს!

თმის დავარცხნის შემდეგ ყოველთვის იწმენდავთ საყელოს.

წესად გაქვთ შემოღებული კოხტად გეცვათ ყოველთვის, შინ ყოფნის დროსაც კი. ღია ფერის საშინაო ბლუზა, სადად შეკერილი, მაგრამ კარგად დაუთოებული და ტანზე კარგად მორგებული ხალათი. კოხტა და რბილ საშინაო ფეხსაცმელში ან ქოშებში თქვენ გამოიყურებით სასიამოვნოდ და ლამაზად.

### თმა ყოველთვის ლამაზად გექნებათ დავარცხნილი, თუ:



ყოველ დილით ჯაგრისით დაივარცხნით თმას. ეს კი არ აფუჭებს დახვეულ თმას, პირიქით, ამაგრებს.

კვირაში ერთხელ დაიბანთ თავს—როცა თმა ცხიმიანია და 10 დღეში ერთხელ—როცა თმა მშრალია.

კვირაში ერთხელ გაწმენდთ ჯაგრისსა და სავარცხელს.

### თქვენ მოქნილი ტანი გექნებათ, თუ:

დღეში 10 წუთს მაინც გამოყოფთ ვარჯიშისათვის ან 20 წუთს სიარულისთვის.

ყოველ დილით იზელთ ტანს უხეში ხელთათმანითა და ცივი წყლით, ან ღებულობთ ცივ შხაპს.

### თქვენი სახის კანი დიდხანს შეინარჩუნებს სინორჩეს, თუ:



დაძინების წინ მოიშორებთ კოსმეტიკას, მაშინაც კი, როცა „არაქათი აღარა გაქვთ“ და მაშინაც, თუ სახლში ღამით ძალიან გვიან დაბრუნდით.

როცა თქვენი კანის შესაფერ კრემს შეარჩევთ, იხმარეთ მას ხანგრძლივად და არ შეიცვლით თქვენი მეგობარი ქალის რჩევით.

ყურადღებას აქცევთ არა მარტო თქვენს გარეგნობას და არა მხოლოდ კოსმეტიკურ საშუალებებს, არამედ თქვენი ორგანიზმის საერთო მდგომარეობასაც: კუჭნაწლავის ნორმალურ მოქმედებას, საჭმლის მომნელებელ ორგანოებსა და ნერვულ სისტემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

# დიასახლისის გამოცდილებიდან

## წყლის პროცედურები

წყლის პროცედურები, რომელსაც ჩვენ მკითხველებს ვთავაზობთ, მარტო ჯანმრთელობისათვის კი არ არის სასარგებლო, ის ქალებს ახალგაზრდობის შენარჩუნებაშიც შველის.

### შხაპი

...ჯერ ცხელი და შემდეგ ცივი ამაგრებს და ამხნევებს ორგანიზმს.

ნერვიული და გადაღლილი ქალებისათვის რეკომენდებულია თბილი შხაპის მიღება — ის დამამშვიდებლად მოქმედებს.

### სახის დასაბანი წყალი

კანი ვერ იტანს უხეშ კირიან წყალს. სამაგიეროდ, წყაროს, წვიმის, ანადუღარი წყლისაგან კანი ხდება ნაზი და პრიალა.

მაგრამ ჩვეულებრივი, ონკანის წყლის დარბილებაც შეიძლება, თუ მას დაუმატებთ. საჭმელ სოდას (1/2 ჩაის კოვზი 1 ლიტრ წყალზე),

გლიცერინს (1/2 ჩაის კოვზი 1 ლიტრ წყალზე),

სახამებელს (1 სუფრის კოვზი ერთ ლიტრ წყალზე),

ნუშის გულს (ამით გაავსეთ პატარა ტოპრაკი, ცოტა ხნით ჩაუშვით წყალში, შემდეგ ტომრიდან გამოწურეთ მოთეთრო სითხე და შეურიეთ ადუღებულ რძეს — 1 სუფრის კოვზი რძე 4 კოვზ სითხეზე).

სახის შეშუპებისას დაიდეთ თბილი მარილიანი საფენები (2 სუფრის კოვზი მარილი 1/2 ლიტრ წყალზე).

თუ მშრალი კანი გაქვთ, დილაობით სახის დასაბანი წყალი დაარბილეთ ნუშის გულით, საღამოობით კი გაიწმინდეთ რძით.

### ხელების მოვლა

ზოგჯერ ქალები ხელის კანის გაწითლებას უჩივიან. ამ არასასიამოვნო მოვლენას სულ ადვილად დააღწევთ თავს, თუ რეგულარულად ჩაატარებთ შემდეგ პროცედურას:

რიგრიგობით ჩაუშვით ხელი ხან ცხელ (არა მდუღარე), ხან ცივ წყალში. ოღონდ ცხელს ჩაუმატეთ 1 სუფრის კოვზი მშრალი მდოგვი. ყოველ ჭურჭელში ხელი გააჩერეთ 2-3 წუთით. პროცედურა დაამთავრეთ ცივი აბაზანით.

### აბაზანა

ცხელი აბაზანა ავნებს ქსოვილთა სიმკვრივეს, თბილი კი ორგანიზმზე დამამშვიდებლად მოქმედებს. ოღონდ არც ერთი და არც მეორე არ უნდა მიიღოთ 15 წუთზე მეტ ხანს. აბაზანიდან ამოსვლისას კარგია მკერდის დასველება ცივი წყლით. ამის შემდეგ ტანი დაიზილეთ უხეში ხელთათმანით ან უხეში პირსაწმენდით.

აბაზანის მოქმედების გასაძლიერებლად რეკომენდებულია წყალში ჩაყაროთ ერთი მუჭა მარილი.

## უხორცო კერძები

ჩვენი ჟურნალის მკითხველთა ერთმა ჯგუფმა გვთხოვა დაგვებეჭდა უხორცო კერძების მენიუ და რეცეპტები. ვასრულებთ მათ თხოვნას და სიტყვას ვაძლევთ გამოცდილ დიასახლისს ბარბარე გვათუას. რეცეპტები წარმოდგენილია ასეთი თანამიმდევრობით: უხორცო წვნიანი, უხორცო მეორე და ასე შემდეგ.

### ჩიხირთმა

4 თავი საშუალო სიდიდის ძველი ხახვი წვრილად დაჭერით, მოხრაკეთ 2-3 სუფრის კოვზ ერბოში, დაასხით 1/1,2 ლიტრი წყალი. წამოდუღების შემდეგ რამდენიმე სუფრის კოვზი გადაიღეთ პატარა ჯამში, შეაგრილეთ, გახსენით შიგ 3 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, შემდეგ ჩაასხით ქვაბში, თან ურიეთ. წვრილად დაჭერით: ქინძი, რეჰანი, პიტნა და ტარხუნა (ზამთარში ეს მწვანილი დიასახლისს გამხმარი უნდა ჰქონდეს) და ჩაუშვით ქვაბში. შემდეგ ქვაბი გადმოდგით, წვენი შეაგრილეთ და თანდათანობით მიუმატეთ 2-3 ცალი გათქვეფილი კვერცხი თან განუწყვეტლივ ურიეთ, რომ კვერცხი არ აიჭრას. შეაზავეთ ძმრით და მარილით. მერე ქვაბი ისევ შედგით ცეცხლზე და განუწყვეტელი მორევით წამოადუღეთ. მიიტანეთ სუფრაზე და ჩამოარიგეთ.

### არწყული ფლავი

ბრინჯი გაარჩიეთ და გარეცხეთ. აადუღეთ წყალი, უყავით მარილი, ერბო ან საჭმელი ზეთი, ჩაყარეთ ბრინჯი, მოურიეთ და დადგით ნელ ცეცხლზე. ქვაბს სახურავი დახურეთ. როცა ბრინჯი ხარშვაში შევა, კოვზით შუაგული ჩაუღრმავეთ და შიგ მოათავსეთ გარჩეული და გარეცხილი ქიშმიში ან ქლიავის ჩირი; შემდეგ კოვზით გვერდებიდან წააყარეთ ბრინჯი და კონუსის ფორმა მიეცით. ქვაბს გადააფარეთ სუფთა ტილო და დაახურეთ სახურავი (ტილომ უნდა შეიშროს ნამი). როცა მზად იქნება, გადმოიღეთ სინზე და მიიტანეთ სუფრაზე.

1 ჩაის ჭიქა ბრინჯზე უნდა აიღოთ 1/1,2 ჩაის ჭიქა წყალი, 2 სუფრის კოვზი ერბო ან საჭმლის ზეთი, 1 სუფრის კოვზი ქიშმიში ან 50 გრ ქლიავის ჩირი, (მარილი) გემოვნებით.

### წვენი პამიდვრითა და ვერმიშელით

2 თავი ძველი ხახვი წვრილად დაჭერით და 2 სუფრის კოვზ ერბოში (ან ზეთში) მოხრაკეთ. მოხრაკულ ხახვს დაასხით 1/1,2 ლიტრი წყალი, ჩაუშვით 2-3 დაფნის ფოთოლი და 2 ცალი სტაფილო — მსხვილთავიან სახეხზე გახეხილი. ადუღეთ. შემდეგ ჩაუმატეთ 3/4 ჩაის ჭიქა ვერმიშელი ან ბრინჯი, თან ურიეთ, რომ ძირზე არ მიიკრას. ცოტახნის შემდეგ ჩაუმატეთ 4-5 ცალი საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი და ნახევარი კილო გაწურული პამიდორი (ან, გემოვნებით, ტომატი). ერთხელ კიდევ წამოადუღეთ, შეაზავეთ მარილით, წიწაკით ან შავი პილპილით. სუფრაზე მიტანის წინ მათლაფებში მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში.

### კარტოფილის კატლეტი

1 კგ კარტოფილი გარეცხეთ და კანიანად მოხარშეთ. შემდეგ გაფცქვენით და ცხელი დასრისეთ. ჩაახალეთ ერთი კვერცხი, გაურიეთ 1 სუფრის კოვზი ფქვილი, მარილი (გემოთი) ყველაფერი ეს კარგად შეზილეთ, შემდეგ გააკეთეთ კატლეტები (რა ზომისაც გსურთ), ამოავლეთ ფქვილში და შეწვით ერბოში ან საჭმლის ზეთზე.

კარტოფილის კატლეტს უნდა გაუკეთდეს ასეთი საწებელი: 1 სუფრის კოვზი ფქვილი გახსენით 1 ჩაის ჭიქა წყალში, უყავით ცოტა კანილი, მარილი და შაქარი (გემოთი), წამოადუღეთ, თან ურიეთ, რომ ფქვილი არ მიიწვას, თუ გნებავთ, უყავით ქიშმიში.

### სოკოს წვენი

6-7 ცალი გამხმარი სოკო კარგად გასინჯეთ (გადატეხეთ, რომ მატლი არ შეჰყვეს), გარეცხეთ, მოათავსეთ პატარა ქვაბში, დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და დადგით ცეცხლზე. როცა სოკო ოდნავ მოიხარშება (თვალყური ადევნეთ, სოკომ სწრაფად იცის მოხარშვა), გადმოდგით ცეცხლიდან, სოკოები ფიცარზე ამოალაგეთ, წვრილად დაჭერით. სოკოს ნახარში შეინახეთ. 3 თავი ხახვი წვრილად დაჭერით და 3 სუფრის კოვზ ერბოში (უფრო გემრიელია ზეთში) მოხრაკეთ. შემდეგ სოკოს ნახარშს დაასხით 1 ლიტრი წყალი და ადუღეთ. უყავით ნახევარი ჩაის ჭიქა ვერმიშელი ან ბრინჯი, 2-3 ცალი წვრილად დაჭრილი კარტოფილი, ასევე წვრილად დაჭრილი 30 გრამი ქინძი, შეაზავეთ მარილით და შავი პილპილით. როცა ვერმიშელი ან ბრინჯი თითქმის მოხარშულია, ჩაუშვით წვრილად დაჭრილი სოკო (ნაწილი მოიტოვეთ მეორე თავი კერძისთვის) და ადუღეთ, სანამ მზად იქნება.

### დაჩურთული კარტოფილი

ერთნაირი ზომის 5-6 ცალი მოგრძო კარტოფილი მოხარშეთ, გაფცქვენით, ამოუღეთ გული.

1 ჩაის ჭიქა ბრინჯი გარეცხეთ, მოხარშეთ, გადაუწურეთ წყალი; მოხარშულ ბრინჯს გადაავლეთ ცივი წყალი. 2-3 თავი ხახვი წვრილად დაჭერით, მოხრაკეთ ერბოში ან საჭმლის ზეთში, შემდეგ ჩაუმატეთ გამზადებული ბრინჯი და წვრილად დაჭრილი სოკო (ადრე რომ მოიტოვეთ), უყავით წვრილად დაჭრილი ქინძი, მარილი და დანაყილი შავი პილპილი. კიდევ მოხრაკეთ. მერე ამ საჩურთით (ფარშით) გამოტენეთ კარტოფილი, დაალაგეთ ტაფაზე და შეწვით ყოველმხრივ ერბოში ან საჭმლის ზეთში. სუფრაზე მიტანის წინ შეგიძლიათ მოასხათ არაჟანი.

**ბარბარე მესხიშვილი-გვათუა**

# ფრანგული იუმორი

ავტობუსის მუშამბიან სკამზე ორი მანდილოსანი ერთმანეთის გვერდით მოხვდა. დაიძრა თუ არა მანქანა, მათ შორის პატარა ინციდენტმა იჩინა თავი:

— გთხოვთ გაალოთ ფანჯარა,—წამოიწყო ერთმა.

— რას ბრძანებთ! გავცივდები და მეტიც არ მინდა...—ცივად მოუჭრა მეორემ.

— გაალეთ, თორემ სული მეხუთება.—ამჯერად მკვახედ თქვა მეზობელმა.

საქმე იქამდის მივიდა, რომ საჭირო გახდა გამყოლის ჩარევა. და აი, სრულიად მოულოდნელად კიბის ბაქანზე მდგომმა სათვალებიანმა მგზავრმა შეწუხებული გამყოლი უხერხულობიდან გამოიყვანა ბრძნული რჩევით:

— გაალეთ ფანჯარა, ჭირს წაიღებს ერთი; დახურეთ ფანჯარა—სულს გააფრთხობს მეორე და ჩვენც ამოვისუნთქავთ...

* * *

დაბადების დღეზე ბებიამ ჟილბერტს დიდი დოლი მოუტანა, ჟილბერტის დედა სულაც არ მოხიბლულა საჩუქრით;

— ხმაურს ატეხს და მოთმინებიდან გამოიყვანს მამამისს.—უსაყვედურა მან საკუთარ დედას.

— სწორედ მაგიტომ ვუყიდე,—წაიბუტბუტა სიძის „თაყვანისმცემელმა“ ბებიამ და შუბლი შეიკრა.

* * *

როცა ციხის მცველმა საკანში ახალი პატიმარი შენიშნა, ჰკითხა:

— რამ მოგიყვანათ აქ?

— კონკურენციამ.

— ეგ როგორ?

— სრულიად უბრალოდ—ვუშვებდი ისეთსავე ფულს, როგორსაც სახელმწიფო და არ მომიწონეს.

* * *

ერთ საზოგადოებაში კვების რეჟიმის შესახებ ბაასობდნენ. ერთმა ექიმმა თანამოსაუბრეებს განუცხადა, რომ ბერძნები ძალზე მსუბუქად სადილობენ და საკმაოდ მსუყედ ვახშმობენ, არაბები კი, პირიქით, მსუყედ სადილობენ და მსუბუქად ვახშმობენ, და მაინც, ერთნიც და მეორენიც თავს შესანიშნავად გრძნობენო.

— რაც შემეხება მე,—სიტყვა შეაწყვეტინა ჩასუქებულმა თანამეინახემ,—სიამოვნებით ვისადილებდი არაბებთან და ვივახშმებდი ბერძნებთან.

* * *

ერთმა გამდიდრებულმა ვაჭარმა იტალიაში იმოგზაურა. როცა სამშობლოში დაბრუნდა და თავის შთაბეჭდილებებს ყვებოდა, ვიღაცამ ჰკითხა:

— ვენეციაში იყავით?

— დიახ, მაგრამ ბედმა მიმტყუნა: იმ დღეს ისეთი წყალდიდობა იყო, რომ ყველა ქუჩა დაჰფარა.

თარგმნა გურანდა კალანდაძემ



# საქართველოს მოდელების სახლი

1. შალის კოსტუმი. სწორი ფორმის ჟაკეტი გაწყობილია თეთრი კანტით და კლაპანებით. ქვედა ტანი სწორია, უკან ნაკეცით.

ავტორი ა ვ ა ლ ი ა ნ ი.

2. შალის კოსტუმი. ჟაკეტი სწორი ფორმის, თეძოებზე მომდგარი. საყელო დაგვირისტებულია ქსოვილის ფერისავე ძაფით.

ავტორი რ უ ხ ა ძ ე.

3. შალის კოსტუმი. ჟაკეტი თავისუფალი, წინ დადებული აქვს თამასა (პლანკა), რომელიც ღილებით მაგრდება.

ავტორი ა ვ ა ლ ი ა ნ ი.

4. კოსტუმი შალის ქსოვილისაგან. ჟაკეტი სწორია, მისი ხმარება უქამროდაც შეიძლება. საყელო მთლიანგამოჭრილია, უკან ნაკერით. ქვედატანი სწორი, უკან შემხვედრი ნაკეცით.

ავტორი ა ვ ა ლ ი ა ნ ი.

5. საგაზაფხულო კომპლექტი პოპლინისაგან. წელში გადაჭრილი კაბა, კარედ ამოჭრილი გულით, წინ ჩაჭრილი, იკვრება სამ ღილზე. სწორი ჟაკეტი გაწყობილია კანტით.

ავტორი ა ვ ა ლ ი ა ნ ი.

6. შალის კოსტუმი. ჟაკეტი სწორი, შავი კანტით გაწყობილი. საყელო გამოჭრილია ირიბი ქსოვილისაგან. ქვედატანი სწორი.

ავტორი რ უ ხ ა ძ ე

მხატვარი **ლიდა ავალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# გთხოვთ, დაიხსომოთ!



გემოვნებით ჩაცმა-დახურვა მარტო ჩვენი ხვედრი როდია! სირცხვილიცაა, თუ გვერდით უგემოვნოდ ჩაცმული ქმარი მოგვყვება. ჩვენ არ ვამბობთ —უბრალოდ. არა! შეიძლება, ადამიანს უბრალოდ და სადად ეცვას. მაგრამ მისი კარგი გემოვნება აქაც იგრძნობოდეს. ტანსაცმელში, მთავარია, დეტალები უხდებოდეს ერთმანეთს: არაფერი ყვიროდეს, თვალში არ გეცემოდეს.

ეს განსაკუთრებით მამაკაცის ტანსაცმელს ჭირდება. ბოდიშს კი მოვიხდით, მაგრამ გაზაფხულზე, ხასხასა მწვანე, იისფერ და ყვითელ შარვლებში გამოწყობილი ახალგაზრდები ერთი ჯურის ფრინველებსა გვანან.

უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ უხერხულობაში არ ჩავარდნენ ჩვენი ძმები, ქმრები და შვილები. ამიტომ. ჩვენი ყურადღება მამაკაცის მოდებსაც დავუთმოთ. ამაში თქვენ ჩვენი ჟურნალიც დაგეხმარებათ. ამის შემდეგ ქალის ტანსაცმლის მოდელებთან ერთად ჩვენ გაგაცნობთ მამაკაცის ტანსაცმლის მოდელებსაც.

ახლა მხოლოდ ზოგიერთი რჩევის მოცემა გვინდა:

ამჯერად მამაკაცის ტანსაცმელში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დეტალებს: პერანგს, ფეხსაცმელს, წინდებს, ქუდს, კაშნესა და ხელთათმანებს. გემოვნებით შერჩეული ეს დეტალები ერთ მთლიან ანსამბლს ქმნის.

დიდი მნიშვნელობა აქვს კოსტუმის, პერანგისა და ჰალსტუხის შეხამებას. პერანგი კოსტუმს უნდა ეხამებოდეს ფერით, ფორმით და ნახატით. ამჟამად ფერებიდან უპირატესობა ისევ თეთრს ენიჭება, თუმცა მოდაშია ფერადი პერანგებიც.



ჰალსტუხმა შეიძლება დაამშვენოს და შეიძლება დააუშნოვოს კოსტუმი. ამიტომ მისი შერჩევისას სიფრთხილე გვმართებს.

უნდა დაიხსომოთ: ფერითა და ნახატით სადა კოსტუმს უფრო თვალში მოსახვედრი ჰალსტუხი სჭირდება და პირიქით.

თეთრ პერანგს მოუხდება კოსტუმის ფერის ან მისი ტონის ჰალსტუხი.

მოხატულობით კოსტუმი, პერანგი და ჰალსტუხი არ უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს: ზოლებიანი არ უხდება ზოლებიანს, კუბოკრული — კუბოკრულს (უჯრედიანი).

ახლა მოდაშია შემდეგი მოხატულობის ჰალსტუხები: კოპლებიანი (რომელიც, აქვე უნდა შევნიშნოთ, მუდამ მოდაშია), ეგრეთწოდებული თურქული ჰალსტუხები, გეომეტრიული ნახაზით და ნაირ-ნაირი გასწვრივი და განივი ზოლებით.

აი, რა უნდა ვიცოდეთ, როცა საჩუქარს ვიძენთ ჩვენი მეორე ნახევრისთვის.

მაგრამ ჩვენი რჩევები ამით არ მთავრდება.

ბევრ მამაკაცს მიაჩნია, რომ ჰალსტუხის გამონასკვა უფრო რთული საქმეა, ვიდრე მისი მოქსოვა. ჩვენც ავიღოთ და დავეხმაროთ (ჩვენთვის ეს იოლი შრომა იქნება, მათ კი ვასიამოვნებთ).

ახლა მოდაშია ეგრეთწოდებული ვინძორული ნასკვი — ფართო და ორმაგი.

სულ უფრო და უფრო შემოდის მოდაში საღამოს კოსტუმთან ბაფთად გაკრული ჰალსტუხი.

მოდით, ვისწავლოთ ამ ნახატებით მათი გამონასკვა.

რედაქტორი თ. აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/III-61 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 432 უე 03076

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუსიკოს—შემსრულე-ბელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატები

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა მუსიკოს—შემსრულებელთა საკავშირო კონკურსი, კონკურსზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა: თბილისის სახელმწიფო, კონსერვატორიის პირველი კურსის (ფორტეპიანოს კლასი) სტუდენტმა ელისო ვირსალაძემ (მესამე პრემია); პიანისტმა, ამჟამად მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტმა ციალა კვერნაძემ (მესამე პრემია) და 14 წლის მევიოლინემ, თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ ლიანა ისაკაძემ (მეორე პრემია).

ფოტო ფ. კრიმსკის



ციალა კვერნაძე

ლიანა ისაკაძე

გარეკანის პირველ გვერდზე—მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი ელისო ვირსალაძე

ფოტო ფ. კრიმსკის

გარეკანის მეოთხე გვერდზე—გაზაფხული ფოტოეტიუდი ე. იგნატოვიჩის


6. 44/122